პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი
№ 205 (11511)
ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, 1959 წ.
ფასი 20 კაპ.

მისასალმებელი წერილი ვიეტნამელი ხალხისადმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მე-14 წლისთავის გამო მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის თავმჯდომარეს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ხო ში მინხს და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ფამ ვან დონგს.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, რომელიც ემსახურება მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ფართო და უცვლელი მხარდაჭერით სარგებლობს. ახლანდელ მომენტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამიმდევრულ ბრძოლას ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა განუხრელად განხორციელებისათვის, ვიეტნამელი ხალხის უმნიშვნელოვანესი ეროვნული ამოცანის — სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების [illegible] და სამართლიანად გადაჭრისათვის.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, ნათქვამია წერილში, რომ საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის არსებული ურღვევი ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება.

• • •

ვიეტნამელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის გამო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ფამ ვან დონგს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

ყველაფერი გავაკეთოთ ადამიანთა უშფოთველი და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის

ჩვენი ხალხი, მსოფლიო საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით და კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას მიტინგზე სტანიცა ვეშენსკაიაში. კეთილი ნების ყველა ადამიანმა საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლა ერთსულოვნად შეაფასა როგორც ახალი მკაფიო დადასტურება საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობისა, მისი გულწრფელი მისწრაფებისა გაფანტოს საავდრო ღრუბლები, რომლებიც აბნელებენ საერთაშორისო ჰორიზონტს. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ „ჩვენ გვინდა ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ „ცივი ომის“ მდგომარეობა და ამით შევანელოთ საერთაშორისო დაძაბულობა, შევქმნათ პირობები ადამიანთა უშფოთველი და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის“, მთელი მსოფლიოს პრესა მოიარა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ მიტინგზე სტანიცა ვეშენსკაიაში, მისმა ოპტიმისტურმა და, როგორც ყოველთვის, მშვიდობისმოყვარულმა ტონმა ახალი იმედით აღუვსო გული კეთილი ნების ყველა ადამიანს. საერთაშორისო ვითარების ღრმა ანალიზი, რომელიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოგვცა, დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა, რომელიც აღბეჭდილია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დროშებზე, სულ უფრო მეტ მომხრეს პოულობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

რა თქმა უნდა, იმპერიალიზმის სამყაროში ჯერ კიდევ არიან მანიაკები, რომლებიც უარს არ იტყვიან გამოიყენონ კომუნიზმის წინააღმდეგ ზარბაზნები და ატომური ბომბები. არიან ძალები, რომლებსაც სასიკვდილო შიშს ჰგვრის ყოველი ქროლა მაცოცხლებელი ნიავისა, რომელიც გაფანტავდა საერთაშორისო დაძაბულობას. მაგრამ „ცივი ომის“ პოლიტიკის დამცველნი დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიან თვიანთსავე საკუთარ ქვეყნებში. ყველაზე შუბლმაგარი იმპერიალისტებიც კი ახლა თანდათან რწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო საშუალებებით მოქმედება მეტად სარისკო და საშიშია.

ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებმა, და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ხალხმა, რომელსაც სახელოვანი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, უმოკლეს ისტორიულ ვადებში ისეთი წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, რომლებიც არც კი დასიზმრებიათ ყველაზე მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. თავის გამოსვლაში ამხანაგმა ნ ს. ხრუშჩოვმა მოიყვანა მრავალი ფაქტი, თუ რა ახალ გამარჯვებებს მიაღწიეს ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა, ჩვენმა საბჭოთა ინტელიგენციამ, რომლებმაც მიზნად დაისახეს ვადამდე განახორციელონ დიდებული შვიდწლიანი გეგმა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მშვიდობიან შეჯიბრებაში სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნულია საბჭოთა ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, მოცემულია დიდი საბჭოთა მწერლის მ. ა. შოლოხოვის შემოქმედების მაღალი შეფასება.

სსრ კავშირისა და დიადი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ძლიერების უმაგალითო ზრდა უდიდეს მასტაბიზილებელ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე. სსრ კავშირის ყოველი ახალი წარმატება, ყველა სოციალისტური ქვეყნის წარმატება გვიახლოებს იმ დროს, როცა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა გაიმარჯვებს.

— ჩვენ მტკიცედ ვიცავთ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, — აღნიშნავდა თავის გამოსვლაში ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი — ჩვენ ვამბობთ: მოდით ნუ ჩავერევით ერთმანეთის საშინაო საქმეებში, ნუ გადავწყვეტთ იდეოლოგიურ უთანხმოებას და სხვა სადავო საკითხებს იარაღის ძალით. თუ ამ საფუძველზე შევთანხმდებით, მაშინ ადვილად გამოვნახავთ იმის საშუალებებს, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობიანი თანაარსებობა.

საბჭოთა მთავრობა კონკრეტული საქმეებით ცხადყოფს, რომ ემხრობა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ამ პროგრამას. უკანასკნელი წლების მანძილზე სსრ კავშირმა თავისი შეიარაღებული ძალები შეამცირა 2 მილიონ 140 ათასი კაცით, გააუქმა თავისი სამხედრო ბაზები, განლაგებულნი სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. 28 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება არ განაახლოს ატომგულის აფეთქება, თუ მას არ განაახლებენ დასავლეთის სახელმწიფოები. ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ გამოთქვა მზადყოფნა დაუყოვნებლივ დადოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებთან შეთანხმება ატომური ბომბების ყველა სახეობის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ.

სწრაფად ფართოვდება ჩვენი ქვეყნის კონტაქტები და ურთიერთობა საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში. ხდება სხვადასხვა დელეგაციების აქტიური გაცვლა.

რა თქმა უნდა, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი უთანხმოებაა. მაგრამ ამჟამად საკითხი ასე დგას: კვლავაც დავტოვოთ ეს უთანხმოება თუ ვეძებოთ მისი აღმოფხვრის გზები? საბჭოთა კავშირი მზად არის ეძებოს ურთიერთ მისაღები შეთანხმებანი ყველაზე მწვავე საერთაშორისო პრობლემათა შესახებ. ასეთ საკითხთა რიცხვს უწინარეს ყოვლისა ეკუთვნის გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება, რაც გამოიწვევდა ევროპაში ვითარების ნორმალიზებას, მოსპობდა ბარიერებს ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის და აღმოფხვრიდა საოკუპაციო რეჟიმის ნაშთებს დასავლეთ ბერლინში. საბჭოთა კავშირი, როგორც განაცხადა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, კვლავ გამოთქვამს მზადყოფნას გადადგას ქმედითი ნაბიჯები შეიარაღების შემცირებისა და უცხოეთის ტერიტორიებიდან თავისი ჯარების გამოყვანის მიზნით, თუ დასავლეთის სახელმწიფოები ასევე მოიქცევიან და დათანხმდებიან სამხედრო ბაზების ლიკვიდაციაზე. „მაგრამ თუ ვინმეს ჰქონდა ის ილუზია, რომ თითქოს ჩვენ თანახმა გავხდებოდით ასეთი შეთანხმებანი დავდოთ ჩვენი სახელმწიფო პოზიციების დათმობის ფასად, ჩვენს პრინციპებზე უარის თქმის ფასად, მას დიდი შეცდომა ჩაუდენია, — იძლევა გაფრთხილებას ნ. ს. ხრუშჩოვი. — სადავო პრობლემების გადაჭრა შეიძლება და უნდა გადავჭრათ მხოლოდ ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით, ამასთან პირველ რიგში უნდა გადავჭრათ ყველაზე მომწიფებული საკითხები, რომელთა მოუწესრიგებლობა აფერხებს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას“.

ყველა საბჭოთა ადამიანი, ყველა კეთილი ნების ადამიანი სიხარულით ხვდება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება „კარგი განზრახვებით, მხურვალე სურვილით შეიტანოს ჯეროვანი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობის განმტკიცების საქმეში“.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი მოღვაწეები ასეთივე კეთილშობილური მისწრაფებებით იხელმძღვანელებენ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მომავალი შეხვედრები ვაშინგტონსა და მოსკოვში ხელს შეუწყობენ „ცივი ომის“ ყინულის გალხობას და საშუალებას მისცემენ ხალხებს თავისუფლად ამოისუნთქონ. სწორედ ამას მოელიან მთელი მსოფლიოს ხალხთა უფართოესი მასები.

„პრავდის“ 2/IX მოწინავე

კარელური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დასკვნითი კონცერტი

— აქ კანტელეს სიმთა ჟღერა გაისმის
და სიმღერა ხარობს, როგორც მაისი.
ხალხის გული აწრთობს
ამ სიმღერის ხმას,
გაიღიმა მიწამ,
ტყემ და ველებმა...
თეთრი ზღვიდან
სიყვარული მიფრინავს
ძვირფას კრემლის კოშკებს
ლაღად ევლება.

გ. სინისალოს ეს სიმღერა, ბ. შმიდტის სიტყვებზე შექმნილი, შეასრულა ნაკრებმა გუნდმა კარელური დეკადის დასკვნით კონცერტზე, რომელიც 1 სექტემბერს გაიმართა კრემლის თეატრში.

თავიანთ ტყიან მხარეზე, მის სიმდიდრეებზე, შესანიშნავ ადამიანებზე — ხეტყის დამცურებლებსა და მჩეხავებზე, მებადურებზე, ქვის მთლელებზე გვიამბეს ამ საღამოს კონცერტის მონაწილეებმა — „კანტელეს“ ანსამბლის სოლისტებმა, ბელომორსკის რაიონის ხალხურმა გუნდმა, პადანის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის მჩეხავებმა და სხვა მუშებმა, — კარელიის მომღერალთა ხალხური გუნდის მონაწილეებმა. მაყურებლები კვლავ უკრავდნენ ტაშს ს. სტეპანოვასა და ი. სიდოროვის ცეცხლოვან ცეკვას, ს. გუბინასა და ვ. მელნიკოვის ლირიკულ დუეტს, დასკვნით ცეკვას გ. სინისალოს ბალეტ „სამპოდან“.

ჩაიკოვსკისა და მოცარტის, გრიგისა და რახმანინოვის ნაწარმოებნი მკაფიოდ გაისმა მომღერლების ი. გრიდჩინასა და ო. შჩერბაკოვას, პეტროზავოდსკის თვითმოქმედი საგუნდო კაპელის, „კანტელეს“ ანსამბლის შესრულებით.

მხურვალედ და დიდხანს უკრავდნენ ტაშს მაყურებლები ჩრდილოელთა ხელოვნებას. დიდხანს გვეხსომება ეს შეხვედრა, — ამბობენ სტუმრები. მათ გადასცეს მოსკოველებს პატარა კანტელე — დეკადის ემბლემა.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი.

დარბაზში იყვნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კარელიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. სენკინი, კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი ს. ბელიაევი, კარელიის ასსრ და რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრები ლ. ნ. კოლმოვსკი და ა. ი. პოპოვი, სსრ კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. (საქდესი).

ხალხის ნება უძლეველია, იკაშკაშებს მშვიდობის მზე

საქართველოს მშრომელები იწონებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას როსტოვის ოლქის სტანიცა ვეშენსკაიაში



ნ. ს. ხრუშჩოვი და მ. ა. შოლოხოვი. ფოტო ს. სმირნოვისა.

*

გზა მშვიდობისა

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხელოვნების მუშაკებისათვის მრავალმხრივ ღირსშესანიშნავია ჩვენი პარტიისა და მთავრობის მეთაურის, მშვიდობის საქმისათვის უანგარო მებრძოლის ნ. ს. ხრუშჩოვის სტუმრობა გამოჩენილ რუს მწერალ მიხეილ შოლოხოვთან. ეს არის ხალხისა და პარტიის ურღვევი ერთიანობის კიდევ ერთი ახალი გამოვლინება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ ღვაწლმოსილ ადამიანებს. მიხეილ შოლოხოვის ნაწარმოებებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურაში. შოლოხოვით ამაყობს ჩვენი ხალხი, შოლოხოვის მხარდამხარ ქმნიან დიდ ლიტერატურას, დიდ ხელოვნებას, დიდ მუსიკას საბჭოთა ადამიანები. ამიტომ ნ. ს. ხრუშჩოვის სტუმრობა მ. შოლოხოვთან ყველას აღაფრთოვანებს. ამ ორი დიდი ადამიანის შეხვედრა დიდი შემოქმედების ზეიმია, ხალხისა და პარტიის ერთიანობის გამომხატველია.

„ჩვენი მწერლები თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებებით ხელს უწყობენ ხალხის ერთიანობის განმტკიცებას, იმას, რომ საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის სულისკვეთებით აღვზარდოთ. ამის მკაფიო მაგალითია ჩვენი დიდი საბჭოთა მწერლის მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვის შემოქმედება“. ასე დაახასიათა ნ. ს. ხრუშჩოვმა მ. შოლოხოვის შემოქმედება.

ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი მაგიდის წიგნი უნდა გახდეს ყოველი შემოქმედისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა მწერლის დიდი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ხალხისა და პარტიის წინაშე, სიტყვასთან ჭიდილი, ენობრივი სტიქიის დამორჩილება, რომელიც ყოველთვის დიდი მწერლის ხვედრია.

ბედნიერი გზა ვუსურვოთ ხალხთა ბედნიერებისათვის მებრძოლთ!

ა. ხორავა,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ხელსაყრელი ატმოსფერო

ხელიდან ხელში გადადის გაზეთები, რომლებშიც გამოქვეყნებულია ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ როსტოვის ოლქის სტანიცა ვეშენსკაიაში წარმოთქმული სიტყვა. საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვაში მოცემულია ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის ამომწურავი დახასიათება, გამოხატულია საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, ყველა კეთილი ნების ადამიანის მისწრაფება — იყოს მშვიდობა დედამიწაზე.

საბჭოთა მშრომელებმა იციან, რა საშინელებაა ომი, ამიტომ არის, რომ ასე შეუპოვრად და თანმიმდევრულად იბრძვიან მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. მსოფლიოს გულისყური მიპყრობილია ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის შეხვედრისადმი, რომელიც ჩვენი დროის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩვენ გვწამს, რომ ეს შეხვედრა წვლილს შეიტანს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, შექმნის სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოებს შორის ურთიერთგაგების ხელსაყრელ ატმოსფეროს.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები ერთსულოვნად იწონებენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიან სიტყვას, რომელიც მსოფლიოს პროგრესულ ძალებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ახალ იმედებს უღვივებს.

ნ. ნიკოლაძე,
თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

*

მომავლის რწმენით

კოლმეურნეებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ როსტოვის ოლქის სტანიცა ვეშენსკაიაში წარმოთქმულმა სიტყვამ. საბჭოთა ხალხი ყოველი ღონისძიებით იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამის მკაფიო დადასტურებაა ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენ, კოლმეურნეები, ვიწონებთ მშვიდობის შენარჩუნების საქმეში წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯს და ბეჯითი შრომით, ახალი წარმატებების მოპოვებით ხელს შევუწყობთ მშვიდობის განმტკიცებას.

ახლა ძველი სენაკის (ცხაკაიას რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ბეჯითად შრომობენ და მოიპოვეს პირველი წარმატებები. ყველა სახის პირუტყვის სულადობის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. გეგმით თვითეულ საფურაკე ძროხაზე უნდა მივიღოთ 1.400 ლიტრი რძე. 1 სექტემბრისათვის მოწველილია 1.050 ლიტრი.

მწველავ მიხეილ ბელქანიას, რომელმაც ერთ საფურაკე ძროხაზე გეგმით უნდა მიიღოს 2.000 ლიტრი რძე, ხოლო ვალდებულებით — 2.100 ლიტრი, უკვე მიღებული აქვს 1.685 ლიტრი რძე და კისრულობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავისათვის შეასრულოს ვალდებულება.

წელს კოლმეურნეობა დაასილოსებს 1.000 ტონა საკვებს. უხვად არის სიმინდის მწვანე მასა.

სიმინდს კარგი პირი უჩანს. თუ შარშან ჰექტარზე მივიღეთ 27 ცენტნერი სიმინდი, წელს მივიღებთ 35 ცენტნერს. უხვ მოსავალს მიიღებენ მეორე და მეოთხე ბრიგადები (ბრიგადირები ქ. ჯაიანი და შ. ბეალავა).

შარშან საშუალოდ ჰექტარზე 81 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ. წელს კი მოწინავე მევენახეები ვლ. ხუხია, ს. ხუხია, ლ. ხუხია და სხვები 120-130 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის იბრძვიან.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევასთან დაკავშირებით კოლმეურნეობამ იკისრა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა შეასრულოს 7 ნოემბრისათვის.

ა. კურდღელია,
ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

იმედის თვალით

სასწავლო წლის დაწყება დაემთხვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გამოქვეყნებას, რომელიც მან როსტოვის ოლქის სტანიცა ვეშენსკაიაში — დიდი საბჭოთა მწერლის მიხეილ შოლოხოვის სამშობლოში წარმოთქვა.

ეს სიტყვა დიდი ისტორიული დოკუმენტია. მასში გამოხატულია დიდი მწერლის მ. ა. შოლოხოვის შემოქმედებისადმი ღრმა პატივისცემა და საბჭოთა მწერლობის განვითარების გზა, საბჭოთა ლიტერატურის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში გამოხატულია ჩვენი მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, მისწრაფება საყოველთაო მშვიდობისადმი, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა.

„ნუ ჩავერევით ერთიმეორის საშინაო საქმეებში, ნუ გადავწყვეტთ იდეოლოგიურ უთანხმოებას და სხვა სადავო საკითხებს იარაღის ძალით. თუ ჩვენ შევთანხმდებით ამ საფუძველზე, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — ადვილად გამოვნახავთ იმის საშუალებებს, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობიანი თანაარსებობა“.

ეს სიტყვები ყველა კეთილი ნების ადამიანის აზრის გამომხატველია. პროგრესული კაცობრიობა იმედის თვალით უყურებს ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის შეხვედრას, რაც ახლო მომავალში უნდა მოხდეს.

ეჭვი არ არის, ორი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების შეხვედრა ხელს შეუწყობს საბჭოთა ხალხისა და ამერიკელი ხალხის ურთიერთგაგებას, ცივი ომის ლიკვიდაციას და მშვიდობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში.

ნ. კიკვაძე,
თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახვედრად

შეასრულეს

გალის რაიონი

გალის რაიონის მეჩაიეებმა ახალი წარმატებები მოიპოვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. 31 აგვისტოსათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 10.905 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.900 ტონისა.

მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან 70,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა. რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 700 ტონა ჩაის ნედლეული.

ჩოხატაურის რაიონი

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 სექტემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან 77,9 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ჩოხატაურელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 400 ტონა ჩაის ფოთოლი.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში

1959 წლის 1 სექტემბრისათვის

	გეგმის შესრულება პროცენტობით	
	წლიურისა	აგვისტოს წინა თვის დანაკლისის ჩათვლით
ქობულეთის რაიონი	91,5	82,7
ბათუმის	89,5	78,4
ქედის	91,0	95,7
სულ აჭარის ასსრ-ში	**91,0**	**81,7**
გალის რაიონი	100,6	84,9
ოჩამჩირის	91,1	65,3
სოხუმის	93,7	46,5
გუდაუთის	92,1	35,7
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	**96,1**	**71,3**
მახარაძის რაიონი	94,9	81,3
ჩოხატაურის	100,0	79,1
ლანჩხუთის	94,7	83,9
სამტრედიის	92,9	79,0
წულუკიძის	87,8	73,1
წყალტუბოს	106,8	94,7
ტყიბულის	125,9	124,9
ცხაკაიას	103,0	93,1
აბაშის	96,2	77,9
გეგეჭკორის	98,6	95,5
ზუგდიდის	96,7	92,1
ჩხოროწყუს	100,1	97,8
წალენჯიხის	103,5	103,1
ხობის	103,3	96,9
თერჯოლის	91,5	43,5
ზესტაფონის	103,3	8,3
ვანის	87,5	53.5
ქ. ჭიათურა	172,6	125,0
ქ. ფოთი	100,0	100,0
სულ საქართველოს სსრ-ში	**96,5**	**84,5**

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

გამარჯვებულნი

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალი კოლმეურნეობა დაწინაურდა. ამ მხრივ ყველას გაუსწრო სოფელ ხაბუმის (ჩხოროწყუს რაიონი) ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც 29 აგვისტოსათვის შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ. გეგმით გათვალისწინებული 452 ტონის ნაცვლად მოკრიფა 453 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრეფენ 50 ტონა ჩაის ნედლეულს. ახლა ენერგიულად შრომობენ ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის.

შ. გოგუა,
ჩხოროწყუს რაიონული გაზეთის რედაქტორი.

მათ შეასრულეს წლიური გეგმები, ღირსების საქმეა შესრულებულ იქნას ვალდებულებაც

რაიონის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის დასახელება	ჩაის კრეფა ტონობით		პროცენტები	კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, პარტორგანიზაციის მდივანი, აგრონომი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი
	გეგმა	შესრულება		
ტყიბულის რაიონი				
სოფელ ოჯოლის კოლმეურნეობა	160	167,5	104,7	ა. ჩხაბერიძე ვ. იაშვილი ო. დათუაძე უ. ჩუბინიძე
სოფელ მანდიკორის კოლმეურნეობა	55	58,8	106,8	მ. ხერხაძე გ. გიორგაძე ა. ბერეკაშვილი ი. გორგიძე
სოფელ ციხიის კოლმეურნეობა	88	104,5	118,7	გ. მორჩილაშვილი ნ. მორჩაძე ნ. მორჩაძე უ. ხუციბერიძე
სოფელ გურნის კოლმეურნეობა	101	117,8	116,6	გ. ნანიკაშვილი ლ. სირბილაძე გ. დარახველიძე რ. გაბადაძე
სოფელ კითხიჯის კოლმეურნეობა	37	41,8	113,0	ქ. ბაბუხადია ა. სანდუხაძე გ. ხერხაძე ა. სანდუხაძე
სოფელ კისორეთის კოლმეურნეობა	40	49,9	124,7	ა. არსენიძე ვ. ზოსიაშვილი დ. ძოწენიძე გ. ლომთაძე
სოფელ ხოჩხეთის კოლმეურნეობა	178	194,2	109,1	გ. კუბლაშვილი მ. ივანიშვილი გ. ცნობილაძე გ. ერაძე
სოფელ ძმუისის კოლმეურნეობა	26	34,9	134,2	ი. ზოსიაშვილი რ. გაბელაშვილი ე. ლოხაბერიძე ქ. ხარატიშვილი

ქართველი მწერლები საუბრობენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პარტიული კონტროლი

შვიდწლედისათვის ბრძოლის იარაღია

ცხოვრების კარნახით

კომისიამ შეისწავლა ლითონის დანაკარგებისა და ხარისხის გაუარესების მიზეზები

მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა

მანვე გამოავლინა მზა პროდუქციის გაგზავნის საქმეში დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შემთხვევები

თვენახევრის წინ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ადმინისტრაციის მოღვაწეობისადმი პარტიული კონტროლის განსახორციელებლად მოეწყო 7 კომისია. თვითეულ მათგანში არჩეულ იქნა ხუთ-ხუთი ყველაზე მოწინავე საქმის მცოდნე და ავტორიტეტული კომუნისტი მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა რიცხვიდან.

სპეციალური და საექსპორტო მოწოდებათა კონტროლის კომისიას № 1 სადნობი საამქროს უფროსი, კომუნისტი ინჟინერი მ. რაზმაძე ხელმძღვანელობს. კომისიამ წინასწარ შედგენილი გეგმით დაიწყო მუშაობა. ამ დღეებში შეამოწმა საექსპორტო ლითონის გასაგზავნი ყუთების ხარისხი. აღმოჩნდა, რომ თითქმის ნახევარი დაბალხარისხოვანი იყო. ამზადებდნენ არასტანდარტულ და ცუდი ხარისხის ყუთებს, რის გამო იყო გაგზავნილი ლითონის დანაკარგები და მისი ხარისხის გაუარესების შემთხვევები. კომისიამ ამის შესახებ საკითხი პარტიულ კომიტეტში დააყენა, ხოლო შემდეგ საკითხი განხილულ იქნა ქარხნის საწარმოო თათბირზე. მიღებული ზომების შედეგად დაბალხარისხოვანი და არასტანდარტული ყუთების დამზადება ამჟამად სავსებით აღკვეთილია.

ამავე კომისიამ პირველ სადნობ საამქროში შეამოწმა საექსპორტოდ გასაგზავნი პროდუქციის რკინიგზის ვაგონებში ჩატვირთვის მდგომარეობა. გამოვლინდა, რომ საექსპორტოდ გასაგზავნი 340 ტონა ლითონი ქარხნის მომარაგების განყოფილების მუშაკთა დაუდევრობით არადანიშნულებისამებრ გაგზავნილი აღმოჩნდა. კომისიამ ადგილზევე მიიღო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად და შემდგომში მსგავსი შემთხვევების აღსაკვეთად. გარდა ამისა, კომისიამ შეისწავლა ქარხნიდან მზა პროდუქციის გაგზავნის საკითხი. გამოვლინდა დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის მთელი რიგი ფაქტები, რის შესახებ საკითხი შეტანილ იქნა პარტიულ კომიტეტში განსახილველად.

უსაფრთხოების ტექნიკის კონტროლის კომისიას სათავეში უდგას ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსის მოადგილე კომუნისტი გ. ცერცვაძე. კომისიამ აგვისტოს პირველ დეკადაში შეამოწმა ქარხნის კირის ღუმელზე უსაფრთხოების მდგომარეობის საკითხი. აღმოჩნდა, მთელი რიგი ტექნიკური დარღვევები და ნაკლოვანებანი. ყოველივე ამაზე კომისიამ სათანადოდ იმსჯელა და მდგომარეობის გამოსასწორებლად თავისი წინადადებანი წარუდგინა ქარხნის პარტიულ კომიტეტს.

მთელი რიგი საქმიანი მითითებები აქვთ შემუშავებული პარტიული კონტროლის დანარჩენ კომისიებსაც.

ფეროშენადნობთა ქარხანაში პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ პარტიული კონტროლის ეს ახალი ფორმა სავსებით დროული და მიზანშეწონილია, თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი.

• • •

უეჭველია კონტროლისა და შესრულების შემოწმების სწორად განხორციელება ხელს შეუწყობს ორგანიზატორული მუშაობის ამაღლებას იმ ახალი ამოცანების დონეზე, რომლებიც დასახულია პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით.

ს. მუმლაძე.

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში ენერგიული შრომით სახელი გაითქვა მოწინავე მსხმელმა თეიმურაზ გამჯაშვილმა, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად 120-140 პროცენტით ასრულებს. მის მიერ დამზადებული ლითონის სხმულები ყოველთვის მაღალხარისხოვანია.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი: ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეამოწმა და ამ დღეებში განიხილა, თუ როგორ სრულდება ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ შემოწმებული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მახარაძელთა თაოსნობას სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შედგენისა და მისი განხორციელების შესახებ და მოსახლეობის გაზრდილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებისა და კოლმეურნეობათა მატერიალური და ფულადი რესურსების შესწავლის საფუძველზე შეადგინეს სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმები, დაამტკიცეს ისინი სასოფლო და რაიონული საბჭოების სესიებზე, გაატარეს თვითეულ სამშენებლო ორგანიზაციას, ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს და გაშალეს საჭირო მუშაობა მათ შესასრულებლად. კოლმეურნეობებში შეიქმნა სამშენებლო ბრიგადები, ხოლო ზესტაფონისა და ყვარლის რაიონებში საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოები, მოეწყო ადგილობრივი საშენი მასალების საწარმოები. ყვარლისა და ზესტაფონის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან არსებული კეთილმოწყობის მუდმივი კომისიები პერიოდულად ამოწმებენ ცალკეული ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას, რაიონული საბჭოების დეპუტატებსა და აღმასკომების წევრებს მიჩენილი აქვთ სამშენებლო ორგანიზაციები ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად.

უკვე განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 1958 წლის გეგმა ზესტაფონის რაიონში 108 პროცენტით შესრულდა, ყვარლის რაიონში — 105 პროცენტით და ამბროლაურის რაიონში — 96 პროცენტით. 1958 წელს ამბროლაურის რაიონში აშენდა 32 საზოგადოებრივი შენობა და 159 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რადიოფიცირებულ იქნა 3 სოფელი; ზესტაფონის რაიონში აშენდა 29 საზოგადოებრივი შენობა და 156 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი; რადიოფიცირებულ და ელექტროფიცირებულ იქნა 2 სოფელი, კეთილმოწყობილია 80 კილომეტრი გზა. ყვარლის რაიონში აშენდა 9 საზოგადოებრივი შენობა და 504 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, გაყვანილ იქნა 18 კილომეტრზე წყალსადენი, რადიოფიცირებულია 5 და ელექტროფიცირებულია ამდენივე სოფელი, კეთილმოწყობილია 43 კილომეტრი გზა. ორგანიზებულად მიმდინარეობს 1959 წლის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობა, რომელთა უმრავლესობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 70-80 პროცენტი უკვე შესრულებულია.

ამასთანავე მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის რაიონების ზოგიერთ საბჭოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეში აქვს ზოგიერთი ნაკლი.

ჯერ კიდევ ფართოდ არ არის დარაზმული მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში აქტიური შრომითი მონაწილეობისათვის. იშვიათად ეწყობა შაბათობები და მშრომელთა მასობრივი გასვლა მშენებლობებზე. სამუშაოები უმთავრესად დაქირავებული მუშახელით წარმოებს, რაც ზრდის მშენებლობის ღირებულებას.

ზოგიერთ მშენებლობაზე მოწესრიგებული არ არის შრომის ორგანიზაცია, საკმარისი რაოდენობით არა აქვთ საშენი მასალები; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ადგილობრივი საშენი მასალების საწარმოთა გაფართოებისა და ახალი საწარმოების მოწყობის საქმეს; ზოგიერთ საზოგადოებრივ შენობათა მშენებლობას ვერ იწყებენ ტექნიკური დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვების უქონლობის გამო.

ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 12 ივლისის დადგენილება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და ამ დარგში მოწინავეთა დასაჯილდოებლად გარდამავალი დროშის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მშენებლობისა და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროები და მათი სამშენებლო ორგანიზაციები სათანადო დახმარებას არ უწევენ ადგილზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის განხორციელებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისადმი, განსაკუთრებით ყურადღება მიაქციონ 1959 წლისათვის გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობას, განახორციელონ ღონისძიებანი მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და გეგმის შესრულებისათვის; კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ხშირად მოაწყონ შაბათობები მასობრივი სამუშაოების შესასრულებლად; გააფართოონ არსებული და მოაწყონ ახალი საწარმოები ადგილობრივი საშენი მასალების დასამზადებლად იმ ვარაუდით, რომ მთლიანად დაიკმაყოფილონ მოთხოვნილება აგურზე, კრამიტზე, კირსა და სხვა საშენ მასალებზე; გადასინჯონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტების ტექნიკური დოკუმენტაცია იმ ანგარიშით, რომ მოსპონ ზედმეტობა და გადაჭარბებული გაფორმებანი, ყოველმხრივ შეამცირონ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებს შორის სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის, შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დააწესონ რაიონული გარდამავალი დროშები.

ცეკავშირის გამგეობას დაევალა განიხილოს სოფლების საშენი მასალებით უზრუნველყოფის საკითხი და განახორციელოს ღონისძიებანი მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მშენებლობის, ადგილობრივი მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს დაევალათ საჭირო დახმარება გაუწიონ რაიონული საბჭოების აღმასკომებს სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის საქმეში.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ შეისწავლონ და რაიონული და სასოფლო საბჭოების სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განიხილონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმების მიმდინარეობა, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას, გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას.

ასე იქმნება დიდი ქიმია

მთელი ძალები— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

კარგად იცის იოსებ ხაჩატუროვმა მართალი სიტყვის ძალა...

ისიც იცის, რომ მუდამ წარმოების ავანგარდში უნდა იყოს და მარტოოდენ ლიტონი სიტყვებით შორს ვერ წავა, ვერავის აუტოკებს გულს.

იცის, და აკი სწორედ ასეთია იგი — სიტყვაც გამოუდის და საქმეც. მოწინავე მეღუმელე მოწინავე აგიტატორიც არის.

როცა თუთია-შაბიამნის საამქროს შაბიამნის განყოფილებაში მეაპარატეები, მეღუმელეები და მეკომპრესორეები აგიტატორის მორიგი საუბრის მოსასმენად შეიკრიბნენ, იოსები უდიდესი შინაგანი კმაყოფილებით წარსდგა მათ წინაშე.

ეს მეღუმელეებმა ი. ხაჩატუროვმა და ე. გენელიძემ გამოადნეს ამ საუბრის წინ ორის ნაცვლად სამი ტონა სპილენძი. აგიტატორი და მისი თანამოსაქმე, რომლებიც ერთ ღუმელზე მუშაობენ, გრაფიკს უსწრებენ...

ასეც უნდა. ასე მოგვიწოდებს ჩვენი პარტია.

შაბიამნის განყოფილების კოლექტივი მოწინავეა ქარხანაში. მან გადამეტებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება, ტონობით ზეგეგმითი ძვირფასი ქიმიური პროდუქტი მისცა ჩვენს მევენახეებს, მეციტრუსეებს, მებოსტნეებს, მრეწველობის ზოგიერთ დარგს, მედიცინას...

და მაინც, ახლა აღარავის აკმაყოფილებს მიღწეული დონე.

პარტია მოგვიწოდებს ვაწარმოოთ მეტი ქიმიური პროდუქცია, დავაჩქაროთ ქიმიური მრეწველობის განვითარება, უფრო სწრაფად წავწიოთ წინ იგი, მალე შევქმნათ დიდი ქიმია.

აგიტატორმა ი. ხაჩატუროვმა შეკრებილთ ერთხელ კიდევ შეახსენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიმართვის გულშიჩამწვდომი სიტყვები და განსაკუთრებით გაამახვილა მათი ყურადღება იმაზე, რომ შვიდ წელიწადში ჩვენი ქვეყანა 80 პროცენტით გაადიდებს მრეწველობის პროდუქციის საერთო გამოშვებას, გააორკეცებს ელექტროენერგიის წარმოებას, გაასამკეცებს ქიმიური ინდუსტრიის სიმძლავრეს...

ამჯერად აგიტატორის საუბარი შეეხებოდა ქიმიკოსებისათვის ახლობელსა და კონკრეტულ საკითხს — ქიმიური პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის ბრძოლას.

— ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მიგვითითებს, რომ საჭიროა დროზე ჩავაყენოთ მწყობრში ობიექტები, რომლებიც შენდება. არ შეიძლება მშენებლობის ვადების გაჭიანურება, ვინაიდან ამას თან სდევს პროდუქციის გამოშვების გაჭიანურება.

ჭეშმარიტად ასეა. ეს ჩანს თუნდაც ჩვენი ქარხნის, კერძოდ, ჩვენი საამქროს მაგალითით. ახლა ქარხანაში მიღებულია ყველა ძირითადი მოწყობილობა (კრისტალიზატორი, საშრობი აპარატი და „ცენტრიფუგა") შაბიამნის ცალკე საამქროსათვის, რომლის მშენებლობა ჭიანურდება. ამავე დროს კი უკვე მომავალი წლიდან ჩვენ ერთიორად უნდა გავადიდოთ შაბიამნის წარმოება.

ხმა: ჩვენ ამას შევძლებთ!

აგიტატორი: ცხადია, ამხანაგებო! ჩვენ ამას შევძლებთ, მაგრამ შევძლებთ მხოლოდ სიზუსტით, ორგანიზებულობითა და პასუხისმგებლობით, რომლებიც, როგორც ეს ხატოვნად თქვა ამხანაგმა ხრუშჩოვმა, კარგი მუშაობის კანონებია. თუ გვსურს კარგად ვიმუშაოთ, მტკიცე ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მოშვებულობის წინააღმდეგ, სწრაფად ავამოქმედოთ ახალი ობიექტი.

ამხანაგებო! — მიმართა აგიტატორმა მსმენელებს, — ვის, თუ არა პირველ რიგში ჩვენ გვეხება ჩვენი პარტიის მითითება ფერადი ლითონების მომჭირნეობის შესახებ.

ჩვენ ხომ ყოველდღიურად ვიყენებთ სპილენძს, ურომლისოდაც არ შეიძლება შაბიამნის გამოშვება. მაგრამ, — განაგრძო აგიტატორმა, — ჩვენ შეგვიძლია მომჭირნეობით ვხარჯოთ ფერადი ლითონი, შეგვიძლია აღვკვეთოთ და უნდა აღვკვეთოთ კიდეც სპილენძის დანაკარგები. ერთი მხრივ, ჩვენ კიდევ უფრო მეტი რაოდენობით უნდა გამოვიყენოთ წარმოების ყოველგვარი ნარჩენი, მეორე მხრივ კი აღვკვეთოთ დანაკარგები სპილენძის დნობის ტექნოლოგიის ზუსტად დაცვით.

დიდი რეზერვები მოგვეპოვება ჩვენ, თუკი მათ გონივრულად გამოვიყენებთ, თუ საქმეს სიყვარულით, სახელმწიფოებრივად მივუდგებით.

თუ ყველა ჩვენგანი, ყველა მეღუმელე ზუსტად დაიცავს სპილენძის დნობის ტექნოლოგიურ რეჟიმს, აღარ გვექნება ამ ძვირფასი ლითონის დანაკარგი.

— მე ვფიქრობ, — თქვა აგიტატორმა, აქ უნდა გავითვალისწინოთ სამი გარემოება,—და საქმის ცოდნით ჩამოთვალა მან დანაკარგების გამომწვევი მიზეზები, მათი ლიკვიდაციის გზები. — პირველი, საჭიროა მტკიცედ დავიცვათ ტემპერატურის რეჟიმი, არ დავუშვათ გადაწვა ან აორთქლება; მეორე, გამდნარ სპილენძზე წიდის მოცილებისას არ გავაყოლოთ ამ უკანასკნელს სპილენძი; მესამე, არ დავუშვათ ღუმელში სპილენძის ჩაცივება, რასაც თან სდევს ღუმელის დანგრევა და დანაკარგები.

მეღუმელე **გ. ჩიგოგიძე:** და ეს ჩაცივება ხომ გენერატორული აირის ნაკლებობით აიხსნება?!

აგიტატორი ეთანხმება ამხ. ჩიგოგიძეს და მოითხოვს, რომ საამქრო ყოველთვის უზრუნველყონ გენერატორული აირით.

საამქროს უფროსი **გ. ანასტასიადი:** ყველაფერი ის, რაზეც აქ ითქვა, ტექნოლოგიური დანაკარგებია. ამავე დროს კი ჩვენთან არც ისე ცოტაა ე. წ. მექანიკური დანაკარგები. მხედველობაში მაქვს სპილენძის მტვრის დანაკარგები მისი ტრანსპორტირების, მოვლა-შენახვისა და გარეცხვისას.

— დავიხსომოთ, ამხანაგებო! — მიმართა აგიტატორმა შეკრებილთ, — როგორი სახისაც არ უნდა იყოს, დანაკარგი მაინც დანაკარგია, ჩვენ არ გვეპატიება იგი...

აგიტატორის საუბარი

აგიტატორის ი. ხაჩატუროვის საუბარმა, რომელსაც 30-მდე ქიმიკოსი დაესწრო, მსმენელთა დიდი აქტივობა გამოიწვია.

სიტყვა აიღო რაციონალიზატორმა მეაპარატემ **უშანგი ლალიძემ.**

— თვითეული ჩვენგანის განუყრელი თვისება უნდა იყოს ახლის გრძნობა, ზრუნვა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. ამ საქმეში მეც შემაქვს ჩემი პირადი წვლილი. წინათ, როგორც ეს თქვენთვის ცნობილია, კომკებიდან გამოსული დალექილი გაჭუჭყიანებული გრანულების ხელმეორედ გადამუშავებას ხელით ვაწარმოებდით, ამასთან ერთი ტონა გრანულის გარეცხვას ორი მუშა ორ სამუშაო დღეს უნდებოდა. დამებადა აზრი — გრანულების გასარეცხად გამოგვეყენებინა ბეტონის ამრევი მანქანა. ეს წინადადება უკვე დაინერგა, და ახლა ყველამ იცით მისი სარგებლიანობა — ორ მუშას ერთ ცვლაში შეუძლია მექანიკურად გარეცხოს 3 ტონა გრანული. ექვსჯერ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, აღარ რჩება ჭუჭყი და მინარევები, გრანული კი, როგორც იცით, მაღალხარისხოვანი გამოდის. საჭიროა არ დავჯერდეთ მიღწეულს, ვიყურებოდეთ მხოლოდ წინ, ყოველ საქმეში ვიჩენდეთ გაბედულ შემართებას. დავამზადოთ ჩვენი ხალხისათვის, სახალხო მეურნეობისათვის მეტი, უკეთესი ხარისხისა და უფრო იაფი ქიმიური პროდუქტები.

საუბარში ჩაერია უფროსი მეღუმელე **ე. გენელიძე.** იგი პატრიოტული სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს დიად შვიდწლედზე, იმაზე, თუ რა მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანების შესასრულებლად. გამომუშავების ნორმებსა და საგეგმო დავალებებს ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებ, — თქვა მან, — მაგრამ კარგად მესმის, რომ ყოველი წუთის გონივრულად გამოყენებით მეტის გაკეთება შემიძლია. ამიტომაც ვკისრულობ ყოველდღიური დავალება სულ მცირე 180-190 პროცენტით გავანაღდო.

აგიტატორთან საუბარში შაბიამნის განყოფილების კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა შვიდწლედის პირველი წლის დავალება თერთმეტნახევარ თვეში შეასრულოს.

საუბარი დამთავრდა...

შეკრებილნი კვლავ ღუმელებისაკენ, აპარატებისაკენ, კომპრესორებისაკენ გაემართნენ თავიანთი დიადი სამშობლოსათვის, მშობლიური პარტიისათვის სიამაყის გრძნობით, იმაზე ფიქრით, რომ გმირული შრომით ავაგებთ კომუნიზმის დიდებულ შენობას. ისინი ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, დიდი ქიმიის შექმნისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სოფლის ახალმშენებლობანი

ტყიბული. (საკ. კორ.). ახალსოფელი ერთ-ერთი დიდი სოფელია ტყიბულის რაიონში. ამ ათიოდე წლის წინათ აქ არ იყო არც ერთი სამრეწველო დანიშნულების ნაგებობა.

სულ სხვანაირად გამოიყურება ეს სოფელი ამჟამად. წელს სოფელში ამუშავდა ჩაის ახალი მძლავრი ფაბრიკა. იგი მიმდინარე სეზონში 10 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს. ფაბრიკის მახლობლად გაშენდა მეჩაიეთა დაბა, გაიხსნა სასადილო.

სამი წლის წინათ ელსადგურის მშენებლებმა სოფლის ტერიტორიის მახლობლად შექმნეს ცნობილი „ტყიბულის ზღვა". ეს ზღვა რეგულარულად კვებავს ტყიბულჰესის მძლავრ აგრეგატებს, რესპუბლიკას აწვდის თეთრ ნახშირს.

შარშან დაიწყო მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო გიგანტური ფერმის მშენებლობა, რაც ამჟამად დასასრულს უახლოვდება. უკანასკნელ თვეში აქ მეფრინველეებმა უკვე გაზარდეს 30 ათასზე მეტი ქათამი და იხვი. მეფრინველეობის ფერმამ ამ დღეებში მეშახტეებს უკვე 2 ათასამდე ფრთა ქათამი მიჰყიდა.

ახალსოფელს აღმოსავლეთით ჩაუდის მდინარე ტყიბულა. მასზე არსებული ერთადერთი ხიდი ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეთა მოთხოვნილებას. ამას წინათ დამპროექტებლებმა ახალი ხიდის პროექტი შეადგინეს. მალე კოლმეურნეები ხიდის აგებას შეუდგებიან. მშენებლობა მილიონ მანეთზე მეტი დაჯდება.

დაიწყო სიმინდის მოსავლის აღება

სიღნაღი. (ტელეფონით). ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სიმინდის აღება დაიწყო. მემინდვრეობის მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი მ. ჩალაბაშვილი) პირველ დღეს სიმინდის მოსავალი აიღო 8 ჰექტარზე. ჰექტარზე იღებენ 28 ცენტნერ მოსავალს. გეგმა კი 25 ცენტნერს ითვალისწინებს.

სიმინდის მოსავლის აღება რაიონის კოლმეურნეობებში სულ მალე მასობრივად გაჩაღდება.

ნ. შარმიაშვილი,
სიღნაღის რაიგაზეთის „კოლმეურნის" რედაქტორის მოადგილე.

• • •

მახარაძის რაიონის სოფელ გალმა დვაბზუს კოლმეურნეობის მესიმინდემ დ. მახარაძემ შარშან ერთ ჰექტარზე მიიღო 125 ცენტნერი სიმინდი და 800 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა. წელს მან ვალდებულება იკისრა ამავე ნაკვეთზე მიიღოს 140 ცენტნერი სიმინდი მარცვლად და 1.000 ცენტნერი მწვანე მასა. ამ ვალდებულებას იგი უთუოდ შეასრულებს. შეხედეთ როგორ აუყრია ტანი სიმინდს, როგორ უჭირს დ. მახარაძეს მისწვდეს სიმინდის ტაროს.

ფოტო ა. აბულაძისა (საქტესის ფოტოქრონიკა).

თამბაქოს ნედლეული — მრეწველობას

ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებს წელს თამბაქოს უხვი მოსავალი მოჰყავთ. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს თამბაქოს ფოთლის შეტეხა, ანემსვა, შრობა და მრეწველობისათვის ხმელი ფოთლის ჩაბარება.

თამბაქოს კარგი მოსავალია სოფელ გუფის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. მანია). კოლმეურნეები, რომლებმაც წელს გეგმით გათვალისწინებული 110 ცენტნერის ნაცვლად 130 ცენტნერი ხმელი თამბაქოს ჩაბარება იკისრეს, რაიონში პირველი შეუდგნენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარებას. პირველ დღეს მათ ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მიმღებ პუნქტს ჩააბარეს 312 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ხმელი თამბაქო.

კოლმეურნეობები მასობრივად შეუდგნენ თამბაქოს ნედლეულის ჩაბარებას.

ვ. დოხნაძე.

განა მათ გული შესტკივათ?

კოჯრის სკოლა-ინტერნატში ნაკლოვანებანი კვლავ ბევრია

გავიდა კალენდარული ზაფხული. მერხებს დაუბრუნდნენ მზით გარუჯული, გაკაჟებული პიონერები. მათ მხიარულად და შინაარსიანად გაატარეს საზაფხულო არდადეგები.

ორი-სამი დღით ადრე დაუბრუნდნენ კოჯრის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები თავიანთ „ბუდეს", რომლის კორპუსები ოთხ ჰექტარ ფართობზეა განლაგებული. ამ ტერიტორიაზე ყურადღებას იპყრობს მოსწავლეთა საცხოვრებელი სამსართულიანი კორპუსი, განკუთვნილი სამასი მოსწავლისათვის. აქ ყველაფერი წესრიგშია: შეკეთებულია საწოლები, წესრიგში მოუყვანიათ ელექტროგანათება, რადიო, გამოუყვანიათ ცენტრალური გათბობა, წყალი, დასასვენებელ დარბაზში დაუდგამთ ტელევიზორი, ლამაზი ავეჯი, მრავლად არის ჭადრაკი, შაში, დომინო; შეუდგენიათ დღის რეჟიმი. ერთი სიტყვით, ამ კორპუსის მნახველი კმაყოფილი დარჩება.

იქვე, გვერდით სასწავლო კორპუსია. სახურავში შარშან მრავალ ადგილას წყალი ჩამოდიოდა. ამ ზაფხულს სახურავი შეაკეთეს, შეღებეს, წესრიგში მოიყვანეს მერხები, კარადები, მაგიდები, დაფები.

მხოლოდ ამის გაკეთება შეძლეს კოჯრის სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელებმა.

გასული სასწავლო წელი 15 ივნისს დამთავრდა. სკოლა-ინტერნატის დირექციამ (დირექტორი კ. ცქიტიშვილი) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორასთან დადო ხელშეკრულება რემონტის შესრულების შესახებ. იგი ითვალისწინებდა, რომ სკოლა-ინტერნატის ყველა სამუშაო შემსრულებელ ორგანიზაციას უნდა დაემთავრებინა 25 აგვისტომდე და მშენებლობაზე აეთვისებინა 220.000 მანეთი.

ეს ხელშეკრულება მაისის მიწურულში დაიდო. გავიდა ივნისი და, როგორც იქნა, 23 ივლისს დაიწყო სარემონტო სამუშაოები. ამჟამად მდგომარეობა სავალალოა.

დავიწყოთ ადმინისტრაციული კორპუსიდან, რომელშიც მოთავსებულია დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კლუბი, პიონერთა ოთახი, სასადილო, სამზარეულო და სხვ. სასადილოს რემონტი სახელდახელოდ, ნაუცბათევად ჩატარდა და ისიც ნახევრად მოუთავებელია. დანარჩენი ოთახები ისევ ისეა, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ იყო. კედლები ჩამონგრეულია, ფანჯრების მინები ჩამტვრეულია.

სკოლა-ინტერნატს აქვს სამედიცინო პუნქტი (ექიმი ლ. კანტერი, ექთანი რ. მღებრიშვილი). შემოწმების დღეს აღმოჩნდა, რომ საწოლებზე გადაკიდებული თითქმის ყველა პირსახოცი ჭუჭყიანი იყო. ჭუჭყი და სიბინძურე იყო თვით მედპუნქტში შესასვლელთანაც. როცა ამაზე მიუთითეს ექთან რ. მღებრიშვილს, მან აგდებულად და გულგრილად განაცხადა, რა ჩემი ბრალიაო.

სასწავლო სახელოსნოებში სახურავი და ჩარხები შეაკეთეს. შესრულდა ელექტროგაყვანილობის სამუშაოების მხოლოდ ნახევარი. კედლებს შეკეთება სჭირდება, იატაკი ავარიულ მდგომარეობაშია. ასევე რემონტი ესაჭიროება სამრეცხაოს, ხოლო სამკერვალო სახელოსნოს ფანჯრების მინები ჩამტვრეულია. ამის მიზეზად ასახელებენ, ხელოსანს ველოდებით და არ მოდისო.

სკოლა-ინტერნატში ჯიშიანი ღორები ჰყავთ. ბავშვები თვითონ უვლიან მათ, იჩვევიან პირუტყვის მოვლა-პატრონობას, ამას გარდა აღსაზრდელებიც უზრუნველყოფილი არიან ახალი ღორის ხორცით. საღორე უნდა გაფართოებულიყო, საშენი მასალისათვის ფული გადარიცხულია, მაგრამ მასალა ვერ მოზიდეს. მიზეზად ტრანსპორტის უქონლობას ასახელებენ. რაც შეეხება საქათმეს, იგი ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია, მაგრამ წელს მისი აშენებისათვის თავს არ იწუხებენ.

სკოლა-ინტერნატი კოჯრის ცენტრში მდებარეობს. ეზოში აქა-იქ უძველესი ხეებია, ხოლო ნორჩი ნერგების დარგვისათვის, ეზოს გამწვანებისათვის თავს არავინ იწუხებს. უარესიც. ეზოში მრავლად არის ეკალ-ბარდები, თხრილები, ნაგავი. ინტერნატში სპორტული მოედნები კეთილმოუწყობელია. აქვთ ფეხბურთის მოედანი, რომელზეც ბლომად ყრია ქვები, ერთ კარს ზედა ძელი არა აქვს. კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები სრულებით არ არსებობს.

ეზოს უმეტესი ნაწილი შემოუკავებელია, მხოლოდ სამხრეთის მხარეა ფიცრებით შემოღობილი. სკოლა-ინტერნატის დირექციის წარმომადგენლებმა გვითხრეს, ამ ღობეს აქ ერთი თვის შემდეგ ვეღარ ნახავთ, ადგილობრივი მოსახლეობა საწვავად გამოიყენებსო. ეზოში მრავლად არის ირგვლივ მცხოვრებთა ძროხები, ფრინველები.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლები აგვისტოში მარაგდებიან შეშით. აქ კი დღემდე ერთი ღერი შეშაც არ მოუტანიათ. როდის იქნება შეშა შემოზიდული, ამაზე არაფერი არ იციან.

შარშან კოჯრის სკოლა-ინტერნატის მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს ზემდგომმა ორგანოებმა. მაგრამ, როგორც ეტყობა, სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელებს აქედან სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ. ეს კოჯრელთა უდარდელობას მიეწერება.

კოჯრის სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელებმა სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ მდგომარეობა.

ბ. ბახტურიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

აბაშა. („კომუნისტის" კორ.). ამ დღეებში პარტიის აბაშის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ერთდღიანი სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის რაიკომის მუშაკთა მოხსენებები თემებზე: „პარტიული კრება და მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება"; „კომუნისტების აღრიცხვა"; „პარტიული დავალება"; „პარტიაში მიღება და ახალმიღებულთა შორის მუშაობა"; „საწევრო შესატანების აკრეფა"; „პარტიული კონტროლის ფორმები" და სხვ.

სემინარზე თავიანთი მუშაობის გამოცდილებებზე ილაპარაკეს პარტორგანიზაციების მდივნებმა ს. ბოკუჩავამ, ს. ჭანტურიამ, გ. ჯიბლაძემ, ვ. მიქაძემ და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლიური კარმიდამო

ნარკვევი

◆

ის იყო გურამი ეზოში გამოვიდა და კაკალქვეშ წამოგორდა, რომ შარაზე სიმღერით ჩამოიარეს პიონერებმა.

— გურამ, ეჰეი, გურამ, — შორიდანვე შეეხმიანენ ბიჭები.

— რა იყო? — მაშინვე წამოხტა გურამი და ხტუნვა-ხტუნვით მიეგება ორღობესთან ჩამომდგარ მეგობრებს.

— ახლავე აიკარი გუდა-ნაბადი და გაღმა უბანში გამოდი!

გაღმა უბანში გამოდიო? წარბები აიჩეჩა გურამმა, კბილებში ჩაჩრილი სამყურას ღერი გამოიღო და ცერად გახედა ეშმაკურად მომღიმარე გოგო-ბიჭებს.

— გაღმა უბანში რა მინდა, ქამა სოკოს საკრეფად ხომ არ აპირებთ წასვლას?

— ქამა სოკო იქნება თუ ჭკუტა სოკო, ამას მერე გაიგებ, — მაშინვე მიაგება ციალამ და სხაპასხუპით დასძინა, — დროს ნუღარ კარგავ, სკოლაში მისვლა დაგვაგვიანდება...

საოცარია, ფიქრობდა ტოლ-მეგობრების მხარდამხარ მიმავალი გურამი, ჯერ ერთი კვირაც არ გასულა, რაც სწავლა დამთავრდა და უბნის გოგო-ბიჭები ისევ სკოლისაკენ მიმარბენინებენ..., თუმცა ვინ იცის, იქნებ კოლმეურნეებისათვის კონცერტის გამართვა აქვთ გადაწყვეტილი და სკოლის ეზოში რეპეტიციაზე მიწვევენ, ან იქნებ...

მთიდან დასხლეტილ ვეება ლოდს ბავშვებმა ყიჟილ-ხივილით აუქციეს გვერდი და თელიანში გასულნი ფეხმარდად შეუყვნენ სოფლის ბოლოსკენ მიმავალ აღმართს.

— პირი შეუკრავთ და ეს არის, — კვლავ საკუთარ თავს ესაუბრებოდა გურამი, — გზადაგზა ბარე ათჯერ მაინც შევეკითხე ცალკე გოგოებსა და ცალკე კიდევ ბიჭებს: რაშია საქმე, ამ უთენია სკოლისაკენ რატომ მიმარბენინებთ-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ერთმაც კი არ გამცა ხეირიანი პასუხი...

ბექობზე ასულმა ბავშვებმა როგორც კი ოდნავ შეისვენეს, მოშრიალე ხეებით დაჩრდილული სკოლის ეზოდან უჩვეულო ჟრიამული შემოესმათ.

ფიქრებიდან გამორკვეულმა გურამმა ხელიდან ხელში მოინაცვლა იფნის გასხეპილი სახრე და ფეხის წვერებზე შემდგარმა გაოცებით გახედა ეზოს.

ფართოდ დაცემულ სკოლის ეზოში პიონერ-მოსწავლეებს მოეყარათ თავი. მკლავებაკაპიწებული ბავშვები ქვიშით სავსე ვედროებსა და გაურანდავ ფიცრებს ეზიდებოდნენ, ყორე-ყორედ ახვავებდნენ აგურსა და რიყიდან მოზიდულ ქვებს.

— დაგვაგვიანდა, — უკმაყოფილოდ ჩაიდუდუნა თმააბურძგნულმა ამირანმა, მერე ოდნავ წინ გასულ გურამს მხარზე ჩაავლო ხელი და ხმადაბლა უთხრა:

— რა პირი დაგიღია, ბიჭო, ხომ ხედავ, სკოლის რემონტი დავიწყეთ...

ახალმოსულებს ყიჟინითა და ტაშისცემით შეეგებნენ სახეწამოწითლებული დამხვდურნი.

— მოვიდნენ, გაღმელები მოვიდნენ!

— აბა, შეჯიბრება გავაჩაღოთ!

ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლის მოსწავლეებს ამ დღიდან მოყოლებული წუთიც კი აღარ დაუკარგავთ უქმად.

პიონერთა ინიციატივას მალე უფროსკლასელებიც გამოეხმაურნენ და მოსწავლეებმა შეერთებული ძალით შეუტიეს საქმეს.

ჯერ იყო და საკლასო ოთახები დააკრიალეს, თეთრად შეღებეს კედლები, მერე მოსდგნენ და ორიოდე დღეში აივნის შეკეთება და ყვავილნარების მოწყობაც დაამთავრეს.

მესერმოვლებულ სკოლის ეზოში მოსწავლეებმა სახელდახელო სადურგლო სახელოსნო გამართეს და დილიდან შებინდებამდე ხან დამტვრეული მერხებისა და ფეხმოყანყალებული მაგიდების შეკეთებაზე მუშაობდნენ, ხან კიდევ სპორტული ინვენტარისათვის გულდაგულ რანდავდნენ ფიცრებს.

როგორც კი სკოლის კარმიდამოს მოწყობა დაამთავრეს, მზით გარუჯულმა მოსწავლეებმა კვლავ საკოლმეურნეო მინდვრებს მიაშურეს...

ცხმორისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა უანგარო და თავდადებული შრომით მთელ რაიონში გაითქვეს სახელი. ყოველ დილით ხმაშეწყობილი სიმღერით მიეშურებიან ხოლმე საკოლმეურნეო ზვრებისა და პლანტაციებისაკენ. თავიანთი გამრჯე მარჯვენით ხან სიმინდის თოხნაში ეხმარებიან კოლმეურნეებს, ხან თამბაქოს პლანტაციებს მოეფინებიან, ხან კიდევ ზვრებსა და ბაღჩა-ბაღებს ახმიანებენ ხალისიანი ყიჟილ-ხივილით.

უფროსი მეგობრების მხარდამხარ მონდომებით შრომობენ სწავლაში მოწინავე მოსწავლეები მეხუთეკლასელი ციალა ბერიძე, მეექვსეკლასელი სარდიონ ბერიძე, მეშვიდეკლასელები ანა დავითაძე და გურამ აბაშიძე, მეხუთეკლასელი გუგული კონცელიძე და სხვები.

მეშვიდეკლასელი ამირან ხალვაში მთის საძოვრებზე ავიდა და ცხენების მოვლა-პატრონობაში ეხმარებოდა კოლმეურნეებს, შუშუნა ბერიძემ ფერმაში მუშაობა ირჩია, ოთარ დავითაძემ კი თამბაქოს საშრობ ფარდულს მიაშურა და საქმისადმი სიყვარულით საყოველთაო მოწონება და პატივისცემა დაიმსახურა...

თავდადებულ გარჯა-შრომასა და ხალისიან გართობა-დასვენებაში მიიწურა აგვისტოს დღეები...

იმ დილით გრილი ამინდი დაიჭირა. გაღმა მთებიდან მონაბერი ნიავი მძიმე-მძიმედ აშრიალებდა ტანაყრილ თელებსა და ალვებს.

ორღობეში მომავალი ბიჭები წუთით შეჩერდნენ და ხის ტოტზე შესკუპულ გოგონას გასძახეს.

— გურამი სად არის, თუ იცი!

ლოყებწითელმა გოგონამ ჭანჭურის კურკა წკიპურტით შეაგდო ჰაერში და ფეხების ქნევით გადმოსძახა ბიჭებს:

— სად არის და სახლშია... არა, სახლში კი არ არის, ბურთის სათამაშოდ გაიქცა.

ბიჭებმა უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს.

— წავიდეთ, სოფლის ბოლოზე იქნებიან, გზადაგზა ეთერსა და ნაზისაც გავუაროთ.

მეგობრებმა თელების ჩრდილში მონახეს ბურთის თამაშით მოღლილი ბიჭები. მობიბინე ბალახზე წამოკოტრიალებული თანაკლასელები ერთხანს სიმღერით იქცევდნენ თავს, მერე კი ისევ მთისა და ბარის ამბების მოყოლა დაიწყეს.

— იცით რა? — მოულოდნელად წამოიძახა სანდრო შანიძემ, — ავდგეთ ახლა და ყველანი სკოლაში წავიდეთ!

— წავიდეთ, წავიდეთ, — მაშინვე ახმაურდნენ ბავშვები, — პირველი სექტემბერი კარზეა მომდგარი...

ჩქარი სიარულით მოქანცულმა მოსწავლეებმა მძიმე-მძიმედ შეაღეს სკოლის ეზოს ჭიშკარი.

— ყოველთვის სხვები გვასწრებენ. — ჩურჩულით გადაულაპარაკა ამირანმა ეზოში შესულ მეგობრებს და თან ღიმილით გახედა თანასკოლელ პიონერ-მოსწავლეებს, რომლებიც სკოლის დირექტორს ოთარ ჯაყელს შემოხვეოდნენ და გატაცებით ესაუბრებოდნენ...

თვალებგაბრწყინებული შესცქეროდნენ მოსწავლეები საყვარელი სკოლის კარმიდამოს.

სანიმუშო სისუფთავე სუფევდა მოსწავლეების მიერ კოხტა მესერით შემოკავებულ ეზოში. აი ეს ერთმანეთის მხარდამხარ ჩარიგებული მოშარიშურე ხეებიც შრომისმოყვარე ახალგაზრდებმა თავიანთი ხელით დარგეს და გაახარეს.

მთელი ზაფხული პირი არ შეურცხვენიათ პიონერ-მოსწავლეებს. მხიარულ გართობასა და დასვენებასთან ერთად საკოლმეურნეო მინდვრებში თავდადებულ შრომასაც ასწრებდნენ. ახლა კი მზით გარუჯულნი, გაზრდილნი და ხალისიან შრომაში გაკაჟებულნი სხივჩამდგარი თვალებით მოვიდნენ მშობლიური სკოლის სანახავად, მოვიდნენ, რომ სწავლის დაწყების წინ ერთხელ კიდევ დახედონ ამ ძვირფას კარმიდამოს...

მალე ნანატრი დღეც გათენდა. და აი დაიწკრიალა პირველმა ზარმა. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მილიონობით მოსწავლეებთან ერთად ცხმორისის საშუალო სკოლის მოსწავლეებიც სიხარულით მიუსხდნენ მერხებს და ჩვეული ენერგიითა და გატაცებით დაიწყეს სწავლა...

სულ გამარჯვების გზით გვევლოს ჩვენი ქვეყნის ნათელო თაობავ, სულ „ფრიადებზე" გესწავლოთ, ჩვენი ხალხის იმედნო და მომავალნო.

ო. დემეტრაშვილი.

იუბილეს წინ

ფართოდ აღინიშნება დიდი ქართველი მწერლის საბა-სულხან ორბელიანის დაბადების 300 წლისთავი.

გუშინ, 2 სექტემბერს, მწერალთა კავშირში შედგა საიუბილეო კომიტეტის სხდომა, რომელმაც დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

საიუბილეო დღეებში გამოვა მწერლის ნაწარმოებთა პირველი ტომი, რომელშიც შევა „სიბრძნე სიცრუისა" და „მოგზაურობა ევროპაში". ინგლისურ ენაზე დაიბეჭდება საბა-სულხან ორბელიანის რჩეული იგავ-არაკები. ცალკე გამოვა ბიბლიოგრაფიული მასალები მწერლის შესახებ, აგრეთვე მწერლისადმი მიძღვნილი ახალი შრომები. დაიბეჭდება საბას ცნობილი პორტრეტი, ბიოგრაფიული პლაკატი, ღია წერილები.

საბა-სულხან ორბელიანის ნაწარმოებთა ოთხტომეულის გამოსაცემად საიუბილეო კომიტეტმა გამოჰყო საერთო რედაქცია ი. აბაშიძის, ვ. დონდუას, ა. ბარამიძის, ქ. კეკელიძის, ა. შანიძისა და ი. აბულაძის შემადგენლობით.

სახელმწიფო მუზეუმის შენობაში მოეწყობა საბასადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოვა აგრეთვე მულტიპლიკაციური ფილმი „სიბრძნე-სიცრუის" მიხედვით. 24-25 ოქტომბერს საიუბილეო საღამო და მიტინგი მოეწყობა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

დედობრივი ზრუნვით

მახარაძის რაიონში ბევრია მოწინავე კოლმეურნეობა, ბევრზე ბევრია გამრჯე კოლმეურნე, უხვი მოსავლის ოსტატი. ყველას ვერც ჩამოვთვლით, მაგრამ არიან ისეთი კოლმეურნეობები, კოლმეურნეები, რომლებიც სათვალავში ერთხელაც არ შეიძლება გამორჩნენ, როცა მოწინავეთა ჩამოთვლაზე მიდგება საქმე.

ასეთია, მაგალითად, ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა, ასეთები არიან მისი წევრები. აქაურ კოლმეურნეებს დიდი, მდიდარი და მრავალდარგოვანი მეურნეობა აქვთ.

კოლმეურნეობამ მინდვრად მომუშავე დედების ხელშესაწყობად და დასამარებლად საბავშვო ბაგა გახსნა. სანამ მშობლები სამუშაოზე არიან, პატარები აქ კარგად გრძნობენ თავს. მათ დედობრივი მზრუნველობით დასტრიალებს თავს ბაგის გამგე მ. წულაძე.

სურათზე: ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის საბავშვო ბაგაში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ისინი გვაძლევენ მაგალითს

იქ, სადაც მძიმე უბანია

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კონსტანტინე ბეგაძემ კოლმეურნეობის აგრონომად დაიწყო მუშაობა. ენერგიული შრომით მალე კოლმეურნეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

სოფელ ასპინძის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც კ. ბეგაძე ჩაუდგა სათავეში, რაიონში ერთ-ერთი მოწინავე გახდა. საქმე, როგორც იტყვიან, საათივით აეწყო და საკოლმეურნეო დოვლათმა სწრაფად იწყო მატება.

შარშან კ. ბეგაძე სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომად დააწინაურეს. ახალ პოსტზეც მან თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა მუშაკმა. მაგრამ ასპინძის კოლმეურნეობაში საქმე ცუდად წავიდა.

წელს სიმინდი, ბოსტნეული, ვენახი სარეველა ბალახებით დაიფარა. ცუდი მდგომარეობა შეიქმნა მეცხოველეობაშიც. მიმდინარე წლის ექვს თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე წველადობა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 116 კილოგრამით შემცირდა...

— გულის ტკივილით შევყურებდი ამ მდგომარეობას, — ამბობს კონსტანტინე, — ასპინძის კოლმეურნეობაში დაბრუნების სურვილი დამეუფლა, მაგრამ მისი გამომჟღავნება მეუხერხულა, სხვანაირად არ ჩამომართვან-მეთქი. მაგრამ, როცა გაზეთში ვალენტინა გაგანოვას პატრიოტული ინიციატივის შესახებ წავიკითხე, გულმა აღარ მომითმინა, ჩემი გადაწყვეტილება პარტიის რაიონულ კომიტეტს ვაცნობე...

პარტიის ასპინძის რაიკომის ბიურომ დააკმაყოფილა კ. ბეგაძის თხოვნა და მას რეკომენდაცია მისცა ასპინძის კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

მას შემდეგ სულ მცირე ხანი გავიდა. უნარიანი ორგანიზატორის ხელი მაშინვე დაეტყო საქმეს.

— წლის ბოლომდე, ვფიქრობ, წველადობაში არსებულ ჩამორჩენასაც დავძლევთ, — მტკიცე რწმენით ამბობს კონსტანტინე.

ვ. ალელიშვილი,
ასპინძის რაიონული გაზეთის რედაქტორი.

საპატიო ჯილდო

ბათუმი. (საქ. კორ.). **ბევრი კარგი მძღოლია ბათუმის ავტოსატრანსპორტო კანტორის მრავალრიცხოვან კოლექტივში. ერთი მათგანია დომენტი გოფოძე, რომელიც მრავალი წელია უმწიკვლოდ ემსახურება თავის საყვარელ პროფესიას. იგი ბათუმის ლამაზი სანაპირო ქუჩიდან კურორტ მახინჯაურამდე დააქროლებს სტუმრად ჩამოსული ტურისტებით სავსე ავტობუსს. კულტურული მგზავრობისათვის მრავალ მგზავრს გამოუთქვამს მძღოლისადმი მადლობა.**

2 წლის წინათ, როცა ბათუმს ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის მუშაკთა დელეგაცია, ავტობუსის მძღოლ დ. გოფოძეს საპატიო დავალება მისცეს — მიეღო პატარა კომფორტაბელური ავტობუსი, გამგზავრებულიყო საზღვაო ვაგზალში და ჩინელ სტუმრებს მომსახურებოდა.

ჩინელ მეგობრებს ძლიერ მოეწონათ დ. გოფოძის სამძღოლო ტექნიკა. სიფრთხილე, თავაზიანობა, გულისხმიერება, მათ ექსკურსიის ბოლოს მადლობა გადაუხადეს დ. გოფოძეს და გულთბილად დაემშვიდობნენ.

ამ დღეებში ბათუმის ავტოსარემონტო კანტორაში ჩინეთიდან მიიღეს ცნობა, რომ მძღოლი დ. გოფოძე დაჯილდოებულია ნიშნით „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის ფრიადოსანი".

დ. გოფოძე საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატია. ერთი წლის წინათ დაჯილდოებულ იქნა „წარჩინებული მძღოლის" ვიმპელით.

წარჩინებულ მძღოლს საპატიო ჯილდო საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

მოწინავეთა შეკრებაზე

პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიმართა თბილისის ლენინის რაიონის კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების პირველი რაიონული შეკრება.

შეკრებაზე მოვიდნენ გურამ ჩადუნელის, გარი მიქაბერიძის, ნოდარ ნიკოლაძისა და სხვა კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრები, რაიონის ფაბრიკა-ქარხნების ახალგაზრდობა, ისინი, ვინც მთელი ენერგიით იბრძვის შვიდწლედის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მოხსენება გააკეთა კომკავშირის ლენინის სახელობის რაიკომის მდივანმა ც. ქორჩაშვილმა. სიტყვებით გამოსულებმა რაიონის ახალგაზრდობის სახელით პირობა დადეს, რომ კვლავაც ბეჯითად იშრომებენ.

კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრებს მიესალმნენ საბჭოთა არმიელი ამხ. ოსტიანი, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. ნიკოგოსოვა, თბილისის მე-14 საშუალო სკოლის პიონერი ნ. ტონია, შრომის ვეტერანი ძველი კომკავშირელი ი. ფარცხალაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ქ. ლაცაბიძე.

გ. ტატიშვილი.

მკითხველთა წერილებიდან

სატრანსპორტო კოლონა

მიმდინარე წლის დასაწყისში თიანეთში ჩამოყალიბდა ავტოსატრანსპორტო კოლონა, რომელსაც სხვადასხვა მარკის 15 მანქანა აქვს, უახლოეს ხანში იგი კიდევ 15 მანქანით შეივსება.

ავტოსატრანსპორტო კოლონა, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის კადრებით, პოპულარული გახდა. კოლონის მანქანებით რაიონში ფართოდ სარგებლობენ დაწესებულებები და ორგანიზაციები, გადააქვთ ტვირთები, ეზიდებიან სამშენ მასალებს, მოგზაურობენ რაიონის შიდა სოფლებში სპეციალური დანიშნულების ავტობუსით.

კოლონის ეზოში მოწყობილია მანქანების გასარეცხი და შემკეთებელი სახელოსნო.

კანტორას კვარტალური გეგმები გადაჭარბებით აქვს შესრულებული.

ი. ბეჟანიშვილი.

ჭაბუკური ენერგიით

წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში ცხოვრობს 120 წლის მოხუცი უთუ ქვაჩას-ძე არდია. იგი ბევრი რამის მომსწრეა, ამიტომ მასთან საუბარი მეტად საინტერესოა.

უთუს რამდენიმე ათეული შვილიშვილის შვილიშვილი ჰყავს. მათ შორის ბევრს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. უთუ ამჟამადაც თავს კარგად გრძნობს და შეძლების მიხედვით კიდევაც მუშაობს, რჩევა-დარიგებას აძლევს ახალგაზრდებს. იგი ამაყობს დღევანდელი ცხოვრებით.

აგრონომი ვ. არდია.





დაძაბული ძიება, შემოქმედებითი მღელვარება

დავით კაკაბაძის სურათების გამოფენა

ამას წინათ საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეის შენობაში გაიხსნა მხატვარ დავით კაკაბაძის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც მოეწყო მისი დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად. დავით ნესტორის-ძე კაკაბაძის შემოქმედება განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაში. მისი მხატვრული მემკვიდრეობის მრავალმხრივობა, გასაოცარი დიაპაზონი, მხატვრული მანერის სხვადასხვაობა, ასახვის შთამაგონებელი ძალა, შინაარსის სიღრმე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე.

დავით კაკაბაძემ განვლო საინტერესო და თავისებური გზა, რომელიც აღბეჭდილია დაძაბული ძიებით, შემოქმედებითი მღელვარებით.

• • •

დავით ნესტორის-ძე კაკაბაძე დაიბადა 1889 წელს ქუთაისის ახლოს მდებარე სოფელ კუხში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მიუხედავად ნივთიერი ხელმოკლეობისა, მშობლებმა პატარა დავითი ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს.

დ. ნ. კაკაბაძე ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში გაიტაცა ხატვამ და ფერწერამ. დღემდე შემონახული იმდროინდელი ნახატები მოწმობენ ახალგაზრდა მხატვრის დიდ წარმატებას; 1900-1909 წლებში მან დახატა რამდენიმე სურათი, რომლებიც ასახავენ იმერეთის გლეხობის ყოფა-ცხოვრებას და რომელთა ერთი ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოში". უკვე ამ ნახატებში ნათლად ჩანს ახალგაზრდა დამწყები მხატვრის თავისებური გემოვნება და დაკვირვების უნარი.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს, დ. კაკაბაძე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. უნივერსიტეტში მეცადინეობის პარალელურად 1910-დან 1915 წლამდე დ. კაკაბაძე გულმოდგინედ მუშაობდა ლ. ე. დიმიტრიევ-კავკაზსკის სამხატვრო სახელოსნოში.

უნივერსიტეტში იგი ისმენდა არჩეული სპეციალობის გარდა ლექციებს ხელოვნების ზოგადი ისტორიიდან; სისტემატურად ესწრებოდა აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სომხურ-ქართული ფილოლოგიისადმი მიძღვნილ მეცადინეობას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე და სხვ. ამ ფაკულტეტზე პროფ. ი. ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელიც ამოცანად ისახავდა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლას. 1913 წელს დ. კაკაბაძემ ამ წრეში წაიკითხა ორი მოხსენება, ერთი ორნამენტული დეკორის შესახებ ძველი ქართული ოქრომჭედლობის ძეგლების მიხედვით და მეორე ბექა ოპიზარზე; შემდეგ ორივე ეს მოხსენება გამოქვეყნდა.

1916 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დ. კაკაბაძემ ორი წელიწადი დაჰყო სამხედრო სამსახურში, 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო თბილისის პირველ გიმნაზიაში ხატვისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლად.

1919 წელს დ. კაკაბაძემ ქართველ მხატვართა სურათების გამოფენაზე რამდენიმე თავისი ნაწარმოები წარადგინა. მათგან მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმერეთის პეიზაჟის ფონზე დახატული პორტრეტი დედისა. ამ პორტრეტში თვალსაჩინოდ არის გამოვლინებული ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული ფერწერითი ხერხები. ფიგურა დედისა, რომელიც პროფილში ზის და ხელსაქმობს, მხატვარს მთლიანად დაწერილი აქვს რეალისტურად. განსაკუთრებით კარგია დედის ჩაფიქრებული და დამშვიდებული სახე. მშვენივრად არის დახატული ხნიერი გამრჯე ქალის — დედის დანაოჭებული ნახჯაფი ხელები.

მაგრამ დედის რეალისტური პორტრეტი წერის მანერით და ზოგადი სტილით არათუ არ შეეხამება, არამედ განსხვავდება პირობითად გამოსახული პეიზაჟისაგან. დ. კაკაბაძემ ხაზგასმით წარმოგვიდგინა იმერეთის პეიზაჟის დამახასიათებელი თავისებურებანი. მთები მწვანე ფერდობებითა და ბორცვებით, შემკული ძველებური ციხეებისა და კოშკების ამაყად ამართული ნანგრევებით, გაცოცხლებული ვენახებით და სიმინდის ყანებით, ჯადოსნურ ხალიჩას მოგვაგონებს, თავისი სილამაზითა და დეკორაციული სტილით. ამასთან სურათზე ცას თითქმის ვერ ვხედავთ. მხოლოდ იშვიათად თუ გამოჩნდება იგი ვიწრო ლურჯი ზოლის სახით.

იმერეთის პეიზაჟის ასეთი გამოსახვა სავსებით ახალი მოვლენა იყო ქართულ ფერწერაში. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მთელ მანძილზე დ. კაკაბაძე პერიოდულად უბრუნდებოდა ქართული პეიზაჟის ასახვის ამოცანას, მაგრამ პეიზაჟის ინტერპრეტაციის მთავარი პრინციპი არსებითად არ იცვლებოდა; ზემო იმერეთის პეიზაჟის ინტიმური ხასიათი, რომელსაც აცხოველებს ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლები, ამწვანებული ყანები და ვენახები, წარუშლელ მხატვრულ შთაბეჭდილებას ქმნის. ქართული ბუნების რომანტიკული სახე და ინტიმური ხასიათი ჭეშმარიტი პოეტური განწყობილებით ასახულია დ. კაკაბაძის შემოქმედებაში. მეორე ნაწარმოებში, რომელიც „იმერული ნატურმორტის" სახელწოდებას ატარებს, შესრულებულია ამავე ფსიქოლოგიური განწყობილებით.

ამრიგად, ჯერ კიდევ ქართველ მხატვართა სურათების 1919 წლის გამოფენაზე დ. კაკაბაძემ სავსებით გარკვეულად გამოამჟღავნა საკუთარი მხატვრული სტილი, შესრულების მანერა, შემუშავებული ჭეშმარიტი ძიების საფუძველზე.

1919 წლის დეკემბრის დამლევს დ. ნ. კაკაბაძე გაემგზავრა პარიზს, რომელიც იმ ხანებში დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხელოვნებაში ფორმალისტურ მიმდინარეობათა ცენტრს წარმოადგენდა. 1920-დან 1927 წლამდე მხატვარი პარიზში ცხოვრობდა, ეცნობოდა საფრანგეთის მუზეუმებს; ხელოვნების შესწავლის მიზნით პერიოდულად მოგზაურობდა გერმანიასა და იტალიაში; დიდი ყურადღებით სწავლობდა შუა საუკუნეების ხელოვნებას; კლასიკურმა ხელოვნებამ თავისი საუკეთესო ნიმუშებით დიდი გავლენა მოახდინა მხატვრის განვითარებაზე, გააფართოვა მისი ცოდნა. აღსანიშნავია, რომ იგი ბიზანტიური ხელოვნების ცნობილი ფრანგი სპეციალისტის გ. მილეს ხელმძღვანელობით მუშაობდა ქართული და ბიზანტიური ხელოვნების ურთიერთობის საკითხებზე, კერძოდ ქართული და ბიზანტიური ორნამენტიკის დარგში. მან შეაგროვა საინტერესო შედარებითი მასალა; წაიკითხა მოხსენებანი გ. მილეს სემინარიაში.

გარკვეულ ხანაში იგი გაიტაცა ფრანგი კუბისტების ხელოვნებამ, უსაგნო დეკადენტურმა ფერწერამ, რის გამო სრულიად დაშორდა ხელოვნების ჯანსაღ რეალისტურ პრინციპებს. ამ ხანებში მხატვრის მიერ ჟურნალებში მოთავსებული სტატიები, 1924 წელს ქართულად დაწერილი წიგნები „კონსტრუქტული სურათების შესახებ" და „ხელოვნება და სივრცე" (პარიზის გამოცემანი), აგრეთვე მხატვრის სხვა შრომები ცხადყოფენ, რომ იგი გახდა აბსტრაქტული ხელოვნების თეორიის მცოდნე და მისი დამცველი. ხელოვნებისმცოდნეობითი შრომების გარდა, პარალელურად დ. კაკაბაძემ დაწერა ფორმალისტური სურათების მთელი სერია, რომელთა ერთი ნაწილი პარიზსა და ამერიკაში გავრცელდა, ნაწილი კიდევ სამშობლოში მხატვრის დაბრუნების შემდეგ 1928 წელს თბილისში გამართულ მის ნაწარმოებთა გამოფენაზე იქნა გამოტანილი.

დ. კაკაბაძემ სამშობლოში დაბრუნებისთანავე თვალნათლივ დაინახა, რომ დეკადენტური ხელოვნების ყველა მიმართულება, რომლებიც მას ასე იტაცებდა საზღვარგარეთ, სრულიად უსარგებლო და ზედმეტი აღმოჩნდა საბჭოთა ხალხისათვის. მხატვარი მიხვდა, რომ საბჭოთა ადამიანებს ესაჭიროებათ მხოლოდ და მხოლოდ რეალისტური ხელოვნება, რომელსაც შესწევს უნარი ასახოს საბჭოთა ადამიანის ახალი ცხოვრება, მისი ნათელი აზრები და გრძნობები.

თავისი წინანდელი გატაცება ფორმალიზმით დ. კაკაბაძეს სულ სხვანაირად, სულ სხვა შუქზე წარმოუდგა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მხატვარმა თვითონვე უკუაგდო თავისი წინანდელი მრწამსი და დაუბრუნდა რეალიზმის პოზიციებს. ახალ ნაწარმოებებში, მეტადრე თეატრალურ დადგმათა დეკორაციულ გაფორმებაში, მხატვარი მტკიცედ იცავს რეალისტური ხელოვნების მხატვრულ პრინციპებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დ. კაკაბაძე ჯერ კიდევ პარიზში ყოფნის პერიოდში, სწორედ იმ დროს, როცა იგი შეპყრობილი იყო კუბიზმით და უსაგნო ფერწერით, ხანდახან თავს აღწევდა ხოლმე დეკადენტურ გავლენას და უბრუნდებოდა რეალისტური ხელოვნების საწყისებს. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, სურათები „წყობლების გამყიდველი" (1921), „პარიზის მუზეუმი" (1922), ნატურიდან შესრულებული ნახატების და აკვარელების დიდი ნაწილი (1923-1927 წ. წ.), სადაც პარიზის უღარიბესი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება გასაოცარი რეალიზმით არის ასახული.

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ზრდის ტემპებით, ძლიერი სოციალისტური მშენებლობით აღფრთოვანებული დავით კაკაბაძე იწყებს ინდუსტრიული თემებისადმი მიძღვნილ სურათებზე მუშაობას. მან შექმნა ფანქრით ჩანახატებისა და აკვარელების სერია რიონჰესზე, რომელმაც თავისი სიდიადით დაჩრდილა მხატვრისათვის დამახასიათებელი იმერეთის პეიზაჟი და წარსულის უტყვ მოწმეთა — ძველ ციხე-კოშკთა ნანგრევების ამსახველი ნაწარმოებები.

მხატვარმა შექმნა ახალი სერია ძველი თბილისის და მისი მიდამოების ჩანახატებისა, სადაც აღბეჭდილია წარსულის ნაშთები, რომლებიც ახალი ცხოვრების ძლევამოსილი შემოტევის გამო მოქცეულია უკანა რიგზე, როგორც მშობლიური მხარის შორეული წარსული.

1949 წელს მხატვარმა შექმნა დიდი რეალისტური სურათი „ელევატორი ფოთში", ამ სურათზე განსაკუთრებით კარგად არის გამოსახული ზღვა. იმავე წელს დ. კაკაბაძემ დაწერა დიდი ტილო „მახტები სვანეთში", უკანასკნელი ნაწარმოები ჩვენი მხატვრისა, რომელიც უკვე მტკიცედ და გადაუხვევლად დადგა რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე, იყო „პირველი ქართული ფოლადის გამოდნობა რუსთავში" (1951). სავსებით მომწიფებული ოსტატის ხელით დაწერილი ეს სამი ნაწარმოები საბჭოთა ფერწერის ძვირფას შენაძენს წარმოადგენს.

დ. კაკაბაძემ დიდი ენერგია მოახმარა ქართულ საბჭოთა თეატრს. შეიძლება ითქვას, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დ. კაკაბაძე განუწყვეტლად მუშაობდა როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე საბჭოთა პიესების მხატვრულ გაფორმებაზე. მისი დეკორაციული ნამუშევრები რეალისტური სტილით არის შესრულებული და აღბეჭდილია ფაქიზი მხატვრული გემოვნებით. დ. კაკაბაძემ გააფორმა პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი" (1929 წ.), ალ. ქუთათელის „შუაღამე გადაიდა", ალ. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა" (1935 წ.), შ. დადიანის „ნინოშვილის გურია" (1933 წ.), დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" (1932 წ.), ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი" (1947 წ.), პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი" (1947 წ.), ბ. ლავრენიევის „მათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ზღვაზეა" (1946 წ.).

დ. კაკაბაძე დიდი წარმატებით მუშაობდა ქართულ კინემატოგრაფიაშიც რეჟისორებთან მიხ. კალატოზიშვილთან და მიხ. ჭიაურელთან ერთად; რეჟისორმა კ. პიპინაშვილმაც მისი აქტიური თანამშრომლობით დადგა მხატვრული კინოსურათი „პოეტის აკვანი" (1946 წ.).

დ. ნ. კაკაბაძის შემოქმედებითს მემკვიდრეობას ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთხანს დ. კაკაბაძე გატაცებული იყო დეკადენტურ-ფორმალისტური მიმდინარეობით, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ იგი მტკიცედ დადგა ჯანსაღ რეალისტურ ნიადაგზე, გაბედულად უკუაგდო ყველაფერი, რასაც ორგანული კავშირი არა ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოვრებასთან და რაც ეწინააღმდეგებოდა მისი მშობლიური ხელოვნების დიდ რეალისტურ ტრადიციებს.

საბჭოთა სინამდვილემ უდიდესი ზემოქმედება იქონია დ. კაკაბაძეზე, მოახდინა გარდატეხა მის ესთეტიკურ მრწამსში, დაუბრუნა იგი ქართული მხატვრული კულტურის სალ სასიცოცხლო სათავეებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ნაადრევად შეწყდა მხატვრის სიცოცხლე, რაც შექმნილია მხატვრის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე, ქართული საბჭოთა ხელოვნების ძვირფას საგანძურს ეკუთვნის.

შალვა ამირანაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

• • •

სურათებზე: რეპროდუქციები დ. კაკაბაძის სურათებიდან: ზემოთ — „უზბეგი"; ქვემოთ—„ელევატორი ფოთში".

უჩვეულო ლაბორატორია

ზოოლოგიის პედაგოგიურ მუზეუმში

ამ პატარა მუზეუმში წარმოდგენილია 40-მდე სხვადასხვა უჩვეულო ექსპონატი, რომელსაც სხვაგან ვერსად ვერ შეხვდებით. მნახველებს ხიბლავს დიდი რუსი იგავთმწერლის კრილოვის იგავ-არაკის თემების მიხედვით გაკეთებული ექსპონატები „მელია და ყურძენი", „კვარტეტი", „მაიმუნი და სარკე", „მაიმუნი და სათვალე", „დათვის წვეულება", ცნობილი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით „თხა და გიგო", „ჩიტი ჩიორა", „ჭიუტი თხები", ვაჟა-ფშაველას „დაჭრილი არწივი", აგრეთვე „ციყვის ოჯახი ზამთარში" და სხვ. ეს დაწესებულება გახლავთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ტაქსიდერმიული ლაბორატორია ზოოლოგიური მუზეუმით, რომელიც ერთადერთია სსრ კავშირში.

იგი თბილისში დაარსდა 1948 წელს ძმების გიორგი და შოთა ჩლაიძეების ინიციატივით. მათ ძალიან საინტერესო და შეურჩევიათ თემები და შესანიშნავად მოუწყვიათ ექსპონატები. პატარები გულიანად იცინიან სტენდთან „თხა და გიგო". კარგად არის გააზრებული და ბევრ მნახველს იზიდავს აგრეთვე ექსპონატი „დათვის წვეულება". ამ „წვეულებაზე" ავტორებს წარმოუდგენიათ ჩვენი რესპუბლიკის ტყეებში ბინადარი თითქმის ყველა მტაცებელი ცხოველი თავისი ულუფით — მგელი, ტყისა და ჭაობის კატა, მელა, მაჩვი, ფოცხვერი, კვერნა, ტურა და სხვ.

ტაქსიდერმიული ლაბორატორია თავისი ზოოლოგიური მუზეუმით მომსახურებას უწევს რესპუბლიკის სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს, აგრეთვე ამარაგებს სკოლებს ბიოლოგიისა და ზოოლოგიის მასალებით. მათ უგზავნის საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა და ცხოველთა ფიტულებს, ჩონჩხებს, დასპირტულ პრეპარატებს. ლაბორატორიაში სკოლებისათვის ამზადებენ აგრეთვე გალიებსა და აკვარიუმებს, ჰერბარიუმის ბადეებს. ლაბორატორია ხშირად ასრულებს სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების დაკვეთებს.

ახალი სასწავლო წლისათვის ტაქსიდერმიულ ლაბორატორიაში მოაწყვეს ცხვრის ფარის დიორამა, რომელშიც მოცემულია საქართველოში გავრცელებული ცხვრის ჯიშები — იმერული, თუშური და ი. ბაძოშვილისა და ა. ნატროშვილის მიერ გამოყვანილი ახალი ქართული ჯიშის ცხვრები. ნათლად არის გამოკვეთილი განსხვავება ძველი და ახალი კულტურული ჯიშის ცხვრებს შორის. დიორამაზე წარმოდგენილია ცხვრის ფარის მთლიანი სურათი: აქ არის მწყემსი კომბლით, ფარის დამხმარე ცხოველები, ნათლად ჩანს, თვითეული რა როლს ასრულებს ფარაში, აგრეთვე ცხვრის ფარის გადაყვანა ბარიდან მთაში ძველი მეთოდით და ახლით — ავტომანქანებით, მეცხვარის ძველი მიწური და ახალი კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი სახლები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ დიორამის მოწყობაზე ძმებმა ჩლაიძეებმა მრავალი სახის — ტაქსიდერმისტის, მხატვრის, მოქანდაკის, ბიოლოგის, ზოოლოგის, ბუტაფორისტის, მეთოდისტის — სამუშაო შეასრულეს და კარგადაც დაძლიეს ეს ამოცანა. ისინი დაუცხრომელი მონადირეები არიან. ყველა ნამუშევარს — აქ ხომ ყველაფერი მათი ხელით არის გაკეთებული — ეტყობა, რომ კარგად იციან ცხოველთა სამყარო.

ტაქსიდერმიული ლაბორატორია მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს, რაც დიდად უწყობს ხელს მოსწავლეთა საგნობრივ და მხატვრულ აღზრდას. აქვე უნდა ითქვას რომ მეტად ძნელ პირობებში უხდება მუშაობა: მუზეუმი და ფოტოსაამქრო მოთავსებულია პატარა შეუფერებელ ბინაში და ისიც ცალცალკე სტალინის რაიონში, ხოლო ლაბორატორია — კიროვის რაიონში, აკვარიუმებისა და გალიების საამქრო — ოქტომბრის რაიონში. აუცილებელია მათთვის გამოინახოს ერთი შენობა.

ე. მამალაძე.

სურათზე: ცხვრის ფარის დიორამა.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სპორტის ამბები

ოლიმპიური ნაკრები ემზადება

„ა" კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატში კვლავ შესვენების პერიოდი დადგა. ეს გამოწვეულია იმით, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები ემზადება მეორე, გადამწყვეტი მატჩისათვის ბულგარეთის გუნდთან.

ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები დაკომპლექტებულია სხვადასხვა საკლუბო გუნდების საუკეთესო ფეხბურთელებით, რომლებიც ახლა მოსკოვში შეკრებაზე იმყოფებიან. ამიტომ „ა" კლასის გუნდების მნიშვნელოვან ნაწილს ჩემპიონატის მატჩების გამართვის შესაძლებლობა არა აქვს. სხვადასხვა შეხვედრებთან ერთად გადადებულია აგრეთვე კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და თბილისის „დინამოს" ასპარეზობა, რომელიც 6 სექტემბერს უნდა შემდგარიყო კუიბიშევში.

გარდა კალოევის, მესხისა და კავაზაშვილისა, თბილისის „დინამოდან" შეკრებაზე აიყვანეს მეკარე კოტრიკაძე და იამანიძე. მესხი და კავაზაშვილი წვრთნას გადიან ახალგაზრდული ნაკრებისათვის, ხოლო კალოევი, იამანიძე და კოტრიკაძე — სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრებისათვის.

თბილისის „დინამოს" დანარჩენი მოთამაშეები 1 სექტემბერს თბილისში დაბრუნდნენ.

ევროპის პირველობა ნიჩბოსნობაში

დუისბურგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ევროპის პირველობის გათამაშება ნიჩბოსნობაში (კანოე, ბაიდარები). მასში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების უძლიერესმა სპორტსმენებმა.

სულ მოეწყო 13 რბოლა. აქედან ექვსი პირველი ადგილი მოიპოვეს უნგრელებმა, სამი — სსრ კავშირის სპორტსმენებმა, ხოლო თითო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებმა.

საერთო პირველი ადგილი და ევროპის ჩემპიონის წოდება ხვდა უნგრეთის გუნდს (190 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები (145 ქულა). მესამე ადგილი დაიკავა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა (116 ქულა).

სსრ კავშირის პირველობაზე

„ბ" კლასი

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა „ბ" კლასის მესამე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი შეჯიბრება. თამაშობდნენ ბაქოს „ნეფტიანიკისა" და თბილისის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის გუნდები.

პირველი ტაიმი წარიმართა სტუმართა უპირატესობით და დამთავრდა მათთვის სასარგებლოდ 1 : 0. ბურთი გაიტანა მარჯვენა გარემარბმა მიკუჩაძემ. შეჯიბრების მეორე ნახევარში არმიელმა ფეხბურთელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა.

მატჩი დამთავრდა ფრედ 1 : 1.

საბჭოთა სტუდენტების გამარჯვება

რომი, 1 სექტემბერი. (საკდესი). სტუდენტთა მსოფლიო ასპარეზობაზე, რომელიც ტურინში მიმდინარეობს, დამთავრდა მოცურავეთა შეჯიბრება. 100 მეტრის გაცურვაში თავისუფალი სტილით პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა მოცურავემ ი. ლუჟკოვსკიმ, რომელმაც დისტანცია გაიარა 57,0 წამში. მანვე პირველი ადგილი დაიკავა 400 მეტრ დისტანციაზე თავისუფალი სტილით — 4 წუთი და 43,8 წამი და მოიპოვა მეორე ოქროს მედალი.

100 მეტრზე ფინალურ ცურვაში ქალთათვის ბატერფლაის სტილით თავი ისახელა საბჭოთა მოცურავე ვ. პოზნიაკმა. მან პირველი ადგილი დაიკავა და გაუსწრო ინგლისელ გოსზენს. მისი დროა 1 წუთი და 13,9 წამი. ამ შეჯიბრებათა შედეგად საბჭოთა მოცურავეებმა სამი ოქროს მედალი მოიპოვეს.

საბჭოთა სტუდენტებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს მოფარიკავე ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში. შერჩევით შეჯიბრებაში საბჭოთა რაპირისტებმა ჟდანოვიჩმა, სისიკინმა, რიუმინმა, ოსიპოვმა დაამარცხეს იაპონიის სპორტსმენები (9 : 1), მეოთხედფინალში — გერმანიის გუნდი (9 : 4), ნახევარფინალში — საფრანგეთის მოფარიკავეები (9 : 2) და ფინალში — უნგრეთის გუნდი ანგარიშით 9 : 5.

საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს (შერჩევით შეხვედრებში) იტალიის, ისრაელის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები და ნახევარფინალში გავიდნენ.

პირველი შეხვედრები ჰქონდათ საბჭოთა ჩოგბურთელებს. პ. რიაზანოვამ დაამარცხა გერმანელი ტიმი და იტალიელი რამორინო და ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. ა. პოტანინმა დაამარცხა მალტიელი ზარბა და ირანელი ეხანსი და გავიდა მეოთხედფინალში.

„ცივი ომის" ყინული უნდა გალღვეს

პეკინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის ყველა გაზეთი ბეჭდავს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას სტანიცა ვეშენსკაიაში გამართულ მიტინგზე 1959 წლის 30 აგვისტოს.

ნ. ს. ხრუშჩოვი, ხაზს უსვამს გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო", იმედს გამოთქვამს, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები საერთო მეცადინეობით გაალხობენ „ცივი ომის" ყინულს. საბჭოთა კავშირს, წერს „დაგუნ ბაო", მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს ღონისძიებანი საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებისათვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ულრმესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ნ. ს. ხრუშჩოვის იმ განცხადებას, რომ საბჭოთა მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ „ცივი ომის" ყინულის გალხობას და შესაძლებლობას მისცემენ ხალხებს თავისუფლად ამოისუნთქონ.

გაზეთებს ეს განცხადება მიაჩნიათ იმის გამოხატულებად, რომ სსრ კავშირის მთავრობა მზად არის ყველაფერი გააკეთოს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, მშვიდობის განსამტკიცებლად მთელ მსოფლიოში და საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა სტანიცა ვეშენსკაიას მიტინგზე არაერთგზის გადასცა პეკინის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა.

ბონი, 1 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის დღევანდელი გაზეთების ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა სტანიცა ვეშენსკაიაში. გაზეთები განსაკუთრებით დაწვრილებით აშუქებენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც იგი ეხება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ადენაუერის საპასუხო წერილს და საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას.

მთელი პრესა აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის წერილი პირველი წაკითხვით კეთილსასურველ შთაბეჭდილებას ახდენს და არსებითად განსხვავდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის უწინდელი დოკუმენტებისაგან.

გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ" გამოჰყოფს საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვებს: თუ ადენაუერის სიტყვებს საქმე მოჰყვა, ამას შეეძლო გამოეწვია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის გაუმჯობესება. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის იმ განცხადებას, რომ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები შეიძლება გადაიჭრას, თუ დასავლეთის სახელმწიფოებს გულწრფელად სურთ ამ პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგება.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის დაწვრილებით შინაარსს ბეჭდავს დიდი გაზეთი „დი ველტი". იგი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის გამოიყვანოს თავისი ჯარები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან და უნგრეთიდან, თუ დასავლეთის სახელმწიფოები განაცხადებენ, რომ ასევე მზად არიან გაიყვანონ თავიანთი ჯარები უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიიდან. „დი ველტი" გამოჰყოფს აგრეთვე საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლის იმ ადგილს, სადაც იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს სურს თანაარსებობა და მშვიდობა და ამიტომ მზად არის შეამციროს თავისი შეიარაღება და ყოველი შესაძლებელი გააკეთოს, რათა ბოლო მოეღოს ცივ ომს და შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა.

მოითხოვენ განიარაღებას

საპარლამენტთაშორისო კავშირის 48-ე კონფერენცია

ვარშავა, 1 სექტემბერი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, საპარლამენტთაშორისო კავშირის 48-ე კონფერენციის გუშინდელ სალამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საერთაშორისო უშიშროებისა და განიარაღების პრობლემების გამო.

ფინეთის წარმომადგენელმა ჰ. კუუსინენმა, შეეხო რა ნეიტრალიტეტის საკითხს, განაცხადა, რომ ნეიტრალიტეტი შეხამებული უნდა იყოს აქტიურ სამშვიდობო პოლიტიკასთან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს უატომო ზონის შექმნას ევროპაში, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებასა და ბერლინის საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას.

ჰ. კუუსინენმა განაცხადა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის შეხვედრები კაცობრიობის იმედია.

კ. პარასკივესკუ-ბილეჩანუმ (რუმინეთი) აღნიშნა, რომ საჭიროა დაიდოს საერთაშორისო ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. ეს იქნება სერიოზული ნაბიჯი საყოველთაო განიარაღების გზაზე.

გიბსონმა (ლიბერია) მხურვალედ დაუჭირა მხარი ტუნისის წარმომადგენლის გამოსვლას, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა შეწყდეს ომი ალჟირში. მან მოუწოდა კონფერენციის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ კამერუნის ხალხის იმ მოთხოვნას, რომ მიენიჭოს მას დამოუკიდებლობა, აგრეთვე მოუწოდა მხარი დაუჭირონ იმ მოთხოვნას, რომ ალჟირის საკითხი განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, განაცხადონ პროტესტი ატომური იარაღის საჰარაში გამოცდის წინააღმდეგ, იბრძოლონ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ბერნაშკოვამ განაცხადა: ჩვენ მეტად გვაწუხებს ის, რომ შესაძლებელია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არმიის აღჭურვა ატომური იარაღით. ამიტომ ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს პოლონეთის წინადადებას უატომო ზონის შექმნის შესახებ. ჩვენმა პარლამენტმა, თქვა მან, მიიღო კანონი ომის პროპაგანდისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ჩვენ გვესაჭიროება მშვიდობის პროპაგანდა.

იაპონიის პარლამენტის დეპუტატმა ს. ტოგანომ თქვა, რომ იაპონიაში დღემდე იგრძნობა ატომური დაბომბვის შედეგები. ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა მან, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ დავუშვათ ომი, განსაკუთრებით ატომური ომი. იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონი ატომური იარაღის წარმოებისა და გამოცდის აკრძალვის შესახებ. ის, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უარი თქვან ატომური იარაღის წარმოებაზე და იკისრონ ვალდებულება არ გამოიყენონ იგი, იქნებოდა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი მშვიდობის გზაზე.

ლიბანის პარლამენტის დეპუტატმა ე. ბუსტანიმ ხაზგასმით აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ არაბთა სამყარო სერიოზულად დააზარალა ბაღდადის პაქტმა, რომელიც თავს მოახვიეს მას, და რომელმაც დაკარგა არა მარტო თავისი ძალა, არამედ სახელწოდებაც.

არაბებს სურთ იყვნენ ნეიტრალური და უნდათ, რომ მათი ქვეყნები ვითარდებოდეს საკუთარი რესურსებით.

საერთაშორისო უშიშროების საკითხებისა და განიარაღების პრობლემის გამო კამათში გამოვიდნენ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ამით დამთავრდა გუშინდელი სალამოს სხდომა.

მეგობრობისა და ძმობის დროშით

სოფია, 31 აგვისტო. (საკდესი). ლაგოევგრადის ოლქის დაბა პრედელში გუშინ გაიმართა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა — ყოფილ პარტიზანთა და პოლიტპატიმართა შეხვედრა, მიძღვნილი სახალხო შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების დღის — 1944 წლის 9 სექტემბრის 15 წლისთავისადმი.

შეხვედრას დაესწრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი და ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ენვერ ხოჯა, რომელიც დასასვენებლად იმყოფება ბულგარეთში.

სიტყვა წარმოთქვა ტოდორ ჟივკოვმა. იგი ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა დამსწრეთ. მან აღნიშნა, რომ ბულგარეთის განთავისუფლების 15 წლისთავს ბულგარელი ხალხი ეგებება უდიდესი შრომითი ენთუზიაზმით, დიდი წარმატებებით ბულგარეთის ეკონომიური აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად წელს, თქვა შემდეგ ტოდორ ჟივკოვმა, ბულგარეთი მოიწევს სოფლის მეურნეობის იმდენ პროდუქციას, რამდენიც მას არასოდეს არ მოუწევია ერთი წლის განმავლობაში.

ტოდორ ჟივკოვმა ილაპარაკა რა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცხოველმყოფელ მეგობრობაზე, აღნიშნა, რომ ბულგარელი ხალხი დიდი მადლობის გრძნობით არის გამსჭვალული თავისი განმათავისუფლებლის, მეგობრისა და ძმის — დიდი საბჭოთა კავშირის მიმართ. მან ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის მომავალი შეხვედრების დიდი მნიშვნელობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ენვერ ხოჯამ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ყოველი მხრიდან

სოციალისტურ ქვეყნებში

ბულგარეთი

პაზარჯიკის ახლოს შენდება ბულგარეთში პირველი აკუმულატორების ქარხანა. იგი დაამზადებს ტრაქტორის აკუმულატორებს და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს, მშრალ ელემენტებს პორტატული რადიომიმღებებისათვის, მოძრავი ტელეფონის აპარატებისა და ჯიბის ფანრებისათვის. წელიწადში ქარხანა გამოუშვებს დაახლოებით 800 ათას სხვადასხვა აკუმულატორს. ეს მთლიანად დააკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას, ხოლო პროდუქციის ნაწილს საზღვარგარეთ გაიტანენ.

უნგრეთი

უნგრეთი წარმატებით ვაჭრობს მსოფლიოს 90 ქვეყანასთან. მისი მრეწველობის პროდუქციაზე სულ უფრო მეტი მოთხოვნილებაა საერთაშორისო ბაზარზე. გასულ წელთან შედარებით მოკლეტალღიან რადიომიმღებთა ექსპორტი 12-ჯერ გაიზარდა, სატელეფონო კომუტატორებისა — 68 პროცენტით. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ექსპორტის გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით.

მშვიდობა აუცილებელი საჭიროებაა

პრეზიდენტ ეიზენჰაუერისა და პრემიერ-მინისტრ მაკმილანის მოლაპარაკება ლონდონში

ლონდონი, 1 სექტემბერი, (საკდესი). დამთავრდა ოფიციალური ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის ვიზიტისა ინგლისში. პრემიერ-მინისტრ მაკმილანთან ეიზენჰაუერის მოლაპარაკებას, რომელიც მკაცრი საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობდა, არ მოჰყოლია არც პრესკონფერენცია, არც ოფიციალური კომუნიკე ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრების შედეგების შესახებ.

გუშინ სალამოს ტელევიზიით გადაცემულ იქნა ეიზენჰაუერისა და მაკმილანის გამოსვლა, რომელსაც საუბრის ხასიათი ჰქონდა. ისინი შეეხნენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ პრობლემებს, რომელიც მათ განიხილეს მოლაპარაკების დროს. როგორც ეიზენჰაუერი, ისე მაკმილანიც თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა მშვიდობის უზრუნველყოფა. მაკმილანმა გამოთქვა აზრი, რომ უნდა მოეწყოს მთავრობათა მეთაურების თათბირი სადავო საერთაშორისო პრობლემების მოსაწესრიგებლად. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მოგზაურობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და მისი მომავალი შეხვედრები საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ნ. ს. ხრუშჩოვთან ხელს შეუწყობენ „საუკეთესო პირობების" შექმნას უმაღლეს დონეზე თათბირის მოსაწყობად.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მისი შეხვედრები დასავლეთ ევროპაში და მომავალი შეხვედრები ნ. ს. ხრუშჩოვთან განპირობებულია იმის შეგნებით, რომ „მშვიდობა აუცილებელი საჭიროებაა". „ჩვენ ყველამ უნდა შევიგნოთ ეს, — თქვა ეიზენჰაუერმა, — თუ გვსურს გვქონდეს თათბირი უმაღლეს დონეზე". შემდეგ ეიზენჰაუერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაფართოვდეს კონტაქტები ქვეყნებს შორის და განსაკუთრებით დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. „მე მიმაჩნია, — განაცხადა მან, — რომ ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ იდეების, საქონლისა და მეცნიერთა მიღწევების გაცვლა... ხალხს სურს მშვიდობა, სულით და გულით სწყურია იგი, ჩვენ უდა მივცეთ მას შესაძლებლობა მიიღოს მშვიდობა". განავითარა რა თავისი აზრი, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ გაცვლას „მოჰყვება ურთიერთგაგება ხალხთა შორის", ხოლო „ურთიერთგაგება, საბოლოო ანგარიშით, ნიშნავს მშვიდობას".

ამავე დროს მაკმილანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთმა თავისი პოლიტიკის განხორციელებაში უნდა გამოიჩინოს „სიმტკიცე" და „მოქნილობა". ეიზენჰაუერმა მხარი დაუჭირა რა მაკმილანს, განაცხადა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა, კერძოდ, ეს პრინციპები უნდა განახორციელონ დასავლეთ ბერლინში.

ამავე დროს მაკმილანმა თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა, დაიცავენ რა ამ პრინციპებს, „უნდა გამონახონ სწორი მეთოდები, რათა მიაღწიონ საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას".

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ იგი მზად არის დაეთანხმოს უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევას. მან თქვა, რომ წავა ყოველ დედაქალაქში, მათ შორის მოსკოვშიც, თუ ეს ხელს შეუწყობს უთანხმოებათა მშვიდობიან მოწესრიგებას. ამავე დროს ეიზენჰაუერმა დასძინა, რომ „არ მიიღებს მონაწილეობას თათბირებში, რომლებმაც შეიძლება იმედი გაუცრუონ ადამიანებს".

„ამიტომ, — თქვა პრეზიდენტმა, — ჩვენ უნდა გვქონდეს ნაყოფიერი შედეგების რაიმე იმედი".

როგორც ეიზენჰაუერმა, ისე მაკმილანმაც თავიანთ გამოსვლებში დიდი ინტერესი გამოიჩინეს ეგრეთწოდებულ სუსტად განვითარებულ ქვეყნებისადმი და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა დახმარება გაეწიოს მათ. ეიზენჰაუერმა თქვა, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემას დასავლეთისათვის „კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აღმოსავლეთისა და დასავლეთის უთანხმოებათა საკითხს." როგორც მისი სიტყვებიდან ჩანდა, იგი შიშობს, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოებმა არ გაუწიეს დახმარება ამ ქვეყნებს, „მოხდება აფეთქება".

საუბრის მსვლელობაში შეეხნენ აგრეთვე ინგლის-ამერიკის ურთიერთობის საკითხს.

პრეზიდენტი ეიზენჰაუერი თავის გამოსვლაში შეეხო ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის როლს დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკაში. იგი კვლავ აცხადებდა, რომ ეს ბლოკი ემსახურება უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნებს.

ხვალ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი მიფრინავს პარიზში საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლთან მოსალაპარაკებლად, რის შემდეგ, როგორც აქ მოელიან, ერთი დღით დაბრუნდება ლონდონში, რათა მაკმილანთან ერთად მოკლედ განიხილოს შედეგები დასავლეთ ევროპაში თავისი მოგზაურობისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრის წინ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა. ბუქარესტი. ტბა „ჩიშმიჯიუ" პარკში.

აღმოიფხვრება უნდობლობა

ტოკიო, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, სიტყვა წარმოთქვა რა დღეს პარლამენტის ქვედა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფუძიამამ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს შორის ვიზიტების ურთიერთ გაცვლა ხელს შეუწყობს უნდობლობის აღმოფხვრას ორივე სახელმწიფოს შორის. ურთიერთ გაეცნობიან რა ერთმანეთის ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას და მიაღწევენ ურთიერთ გაგებას, თქვა ფუძიამამ, ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ამით დიდ სარგებლობას მოუტანენ მთელ მსოფლიოს.

დე გოლი ძველი გზით მიდის

პარიზი, 1 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დე გოლი პარიზში დაბრუნდა ალჟირში ოთხი დღის მოგზაურობის შემდეგ. როგორც პარიზის პრესის ცნობებიდან ჩანს, დე გოლის ეს მოგზაურობა მიზნად ისახავდა ალჟირის პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის არა მოახლოებას, ალჟირისა, სადაც უკვე თითქმის 5 წელია წარმოებს სისხლისმღვრელი ომი, არამედ ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას.

დე გოლი ეწვია ჯარის ნაწილებს ალჟირის მთელ რიგ პუნქტებში, მათ შორის რაიონში, სადაც ახლა ბრძოლები წარმოებს ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელ არმიასა და საფრანგეთის ჯარებს შორის. გამოვიდა რა ოფიცრებისა და ჯარისკაცების წინაშე არტუაში და ალჟირში საფრანგეთის სხვა გარნიზონებში, დე გოლმა ქება შეასხა საფრანგეთის ჯარების სამხედრო მოქმედებას ალჟირელთა წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საფრანგეთის რეაქციულმა წრეებმა მოიწონეს დე გოლის განცხადება იმის შესახებ, რომ საფრანგეთი ბოლომდე განაგრძობს ალჟირის „დამორჩილებას".

საფრანგეთის საზოგადოებრიობას, რომელიც მოითხოვს ბოლო მოეღოს ომს ალჟირში, იმედი გაუცრუა პრეზიდენტის ალჟირში მოგზაურობის შედეგებმა.

უცხოეთის ქრონიკა

◆ ალჟირიდან მიღებული ცნობები იუწყებიან სისხლისმღვრელი ბრძოლების შესახებ საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმებს შორის. საფრანგეთის სარდლობის მონაცემებით, საბრძოლო მოქმედების უკანასკნელ კვირაში ალჟირელმა პატრიოტებმა დაკარგეს 603 კაცი მოკლულის სახით. ამავე პერიოდში მოკლულია 26 ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი.

◆ როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი პნომ-პენიდან იუწყება, გუშინ თავს დაესხნენ კამბოჯის მეფის დედოფლის სახელზე მიღებულ ამანათს. ეს იყო ბომბი, რომელიც ამანათის გახსნის დროს აფეთქდა. აფეთქების დროს დაიღუპა სამეფო სასახლის ოქმის უფროსი პრინცი ვაკრივანი.

უშიშროების ორგანოები აწარმოებენ გამოძიებას.

◆ როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პრაღაში ჩავიდა რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე ვ. ა. არალოვი, რომელიც უნივერსიტეტში წაიკითხავს რამდენიმე ლექციას სსრ კავშირში სოციალური უზრუნველყოფის განვითარებისა და სტრუქტურის შესახებ.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

რადიო

3 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.00 — მასალები გაზეთებიდან, 11.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.15 — კაბალევსკის სიუიტა „კომედიანტები", 12.45 — ოსური სიმღერები, 17.20 — კ. ლაზარენკოს კონცერტი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ვ. თორდუას მოთხრობა „გულის შუქი", 18.05 — ო. თევდორაძე „ქართული სიუიტა", 18.45 — საბჭოთა სიმღერები, 19.15 — მ. გლინკას სიმფონიური ნაწარმოებები, 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, საუბარი: „მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი", 20.20 — ვერდის ოპერა „რიგოლეტოს" ტრანსლაცია მოსკოვიდან (ამერიკელი მომღერლის დ. უორენის მონაწილეობით).

მეორე პროგრამით

20.20 — ბრამსის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 21.00 — ლიტერატურული გადაცემა. „დიდი პოლონელი პოეტი ილიუშ სლოვაცკი", 21.20 — საცეკვაო მელოდიები.

ტელევიზია

3 სექტემბერი

19.30 — საერთაშორისო მიმოხილვა (სტუდიაში დოცენტი ი. ტაბაღუა), 19.45 — კინონარკვევი, 20.05 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 21.05 — უკანასკნელი ცნობები, 21.15 — ახალი მხატვრული ფილმი „აი როგორ მოხდა ეს".

თბილისის თეატრებსა და კინოებში

3 სექტემბერი

ფილარმონიის საზაფხულო — ლიტვის საესტრადო ორკესტრი (დასაწყისი სალამოს 9 საათზე).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — ულმობლობა, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — ალყა, ისანი (საზაფხულო), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — ამერიკელი ძია, თბილისი, თანამგზავრი, სამასი არაგველის ბაღი — ამბავი ლატვიელი მსროლელისა, 26 კომისრის სახელობის (პირველი და მეორე დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის ახალი (საზაფხულო) — სომხური კინოფილმების ფესტივალი, საქართველო (მწვანე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), კოლმეურნე — განაჩენი, საქართველო (საზაფხულო) — მიფრინავენ წეროები, პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზაფხულო) — მეგობარი ქალიშვილები, ძერჟინსკის სახელობის (საზამთრო), ყაზბეგი — მეტოქენი საჭესთან, ძერჟინსკის სახელობის მილიციის კლუბი (საზაფხულო), ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — გოგონა ეძებს მამას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

შ0 06191 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 2